ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 57 - 58 ნიუ-იორკი, ივნისი 1963 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, JUNE 1963

ოცდაექვსი მაისის ურღვევი პალატი.

რუსეთის იმპერიის ბატონობა მოტყუილებით და ძალადობით მიტაცებულ საქართველოს მიწაწყალზე 1918 წ. 26 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე და 10 წ. დაემხო და საქართველოს სახელმწიფო მკვდრეთით აღსდგა...

ასეთის სიზუსტით არის მაშინდელ აქტში და ოქმებში შეტანილი ჟამი ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

თითქოს საუკუნოებრივ სიბნელით მოცული ცა უცებ გაიხსნა და ნათელი სვეტი, „სვეტი ცხოველი“ ჩამოეშვა და ქართველ ერს თავისუფლება გადმოაღვარა.

თითქოს სადღაც შორს დიდი იმპერიის მექანიზმი მოიშალა, დაიმსხვრა და ჩვენ უეცრად განცალკევებული, დამოუკიდებელი დავრჩით.

აი, ასეთმა ბედნიერმა და უეცარმა „ზეცის გახსნამ“ მთელი ხალხი ზეიმით აღავსო, სადღესასწაულო ზარების გუგუნი ძველ სიონში გაისმა და მას ბანი მისცეს მამა დავითის ზარებმა და იქ ჩვენს ღირსეულ მამებს საფლავში ეს აღდგომა ჩასძახეს... სასახლის წინ ამქრებმა დროშები გაშალეს და ქართველთა დიდი ზეიმი და ლხინი დილამდე არ შეწყვეტილა, არც შენელებულა.

ასე სჩანს ეგ „სურათი“ ერთის შეხედვით და მაშინდელი ოქმითაც.

მაგრამ განა ეს ასე იყო? განა 26 მაისი უეცარი, სიზმრად ნანატრი „ცის გახსნა“ იყო? განა ეს ნათელი იმ დღის 5-ს. და 10 წუთზე გადმოეშვა?

არა! იმ დაუვიწყარ დღეს მხოლოდ ჩვენი გრძელი და სახელოვანი მატიანეს ახლებური გამოვლინება მოხდა, „ქართლის ცხოვრების“ ახალი თავი, გრძელ და საკვირველ ამბავთა ახალი ფურცელი გარდაიშალა... სხვანაირად მას ხომ ის დიდი, ისტორიული შარავანდედი ღირსება და მნიშვნელობა არ დაჰყვებოდა, ის გამამხნევებელი, უკვდავი ძალა არ მიეცემოდა; და 26 მაისის ახალი პალატი არა მყარ საძირკველზე ნაგები დაშთებოდა.

ურყეობა და სიმტკიცე მის საძირკველს იმ დიდმა ბრძოლებმა მისცეს, რაიც იმ დღიდან გადაიშალა, როცა უძველესი, კულტურული სახელმწიფო ივერიისა რუსეთმა განუკითხავად საკუთარ გუბერნიად გამოაცხადა, ერი გაძარცვა, მას ქართული ენა და საყდარი წარტაცა...

აი, რა დროიდან დაიწყო ერმა 1918 წ. 26 მაისის საძირკველის შენება, საძირკველის, რომელიც ეხლაც ურყევად სდგას ქართველი ხალხის გულში; ეს ურღვევი პალატი ხომ მრავალთაობებს უშენებია—დაწყებული დიდი ირაკლის და გიორგი მეფის შესანიშნავ ოჯახის წევრთა და მათ მიმდევართა მიერ და დათავებული ჩვენის თაობით, რომელთაც ამ 26 მაისის ისტორიულ აქტს ხელი მოაწერეს. ეს პალატი, უმაღლესი და, უმთავრესი, რომელშიაც 26 მაისი იშვა, ჩვენი აგებული კი არ ყოფილა, არამედ მისი „აგება“ ჯერ კიდევ სოლომონ მეფეს, ალექსანდრე, ფარნაოზს, ვახტანგს, თეიმურაზს, ლევანს და ან დანარჩენ ბატონიშვილთ დაუწყვიათ, დარეჯან და მარიამ დედოფლებთან, მათ ერთგულებთან, წარჩინებულებთან და გლეხებთან ერთად; მისი შენება განუგრძვიათ სოლომონ დოდაშვილთან, ფილადელფოს კიკნაძესთან, სოლომონ რაზმაძესთან, დ. ყიფიანთან და თამარ, ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებთან ერთად ყველა იმათ, ვინც 1832 წლის შეთქმულება შეამზადეს...

ეს საძირკველი მათ ჩაუყრიათ, ვინც ბრძოლის დროშები გაშალეს და ჩვენს მატიანეში რუსთა შემოჭრის დასაწყისიდანვე ეროვნული აჯანყებების ცეცხლი გააჩაღეს: 1802 წ. 1804 წ. 1812 წ., 1819 წ. და ბოლოს 1832 წ.

ამ უკანასკნელი წლის შემდეგ კი 26 მაისისათვის ბრძოლებმა სხვა სახე მიიღეს. აჯანყებათა სერიას მოჰყვა ხმალის ჩაგება და ეროვნული ძალების პოლიტიკური, პატრიოტული და ეკონომიური დარაზმვა; ხალხის „ჭრილობათა“ მოშუშების, გამრთელების და განმტკიცების ხანა. დაიწყო ეროვნული შეგნების გაღრმავება; ქართული კერის და ოჯახის გადასარჩენად ნაციონალურ ძალების და შეგნების კონცენტრაცია. ამ დროშის ბელადობა, ორბელიან-ერისთავების შემდეგ, ილიას და აკაკის თაობამ იკისრა და მათ დიდის ღირსებით, ენერგიით და მოხერხებით განვლეს „ბეწვის ხიდი“ და ამით ახალი, მყარი ქვები მიიტანეს 26 მაისის საძირკვლის ჩასაყრელად.

განვლეს წლებმა, ქარიშხლიანმა წლებმა და ჩვენს ბრძოლის ველს ახალი, არა ნაკლებ თავდადებული ძალები შეემატა. ძალები, ზოგნი წმინდა ეროვნული დროშით და ზოგნიც უფრო საერთაშორისო, საკაცობრიო ლოზუნგებით, მაგრამ მათი გულიც ქართულის პატრუქით იყო ანთებული, ერის ტკივილი მათაც ისე სტკიოდათ; და ბოლოს ვნახეთ, რომ ეს „ინტერნაციონალიზმიც“ შენიღბული ბრძოლა იყო ამავ 26 მაისისათვის და რუსეთის იმპერიის დამხობისათვის. აქ არჩილ ჯორჯაძის გვერდით უნდა დამდგარიყო ნოე ჟორდანია... ორივენი კი უნდა ილიას გზას გაჰყოლოდნენ. სხვა „ამბები“ ინტერნაციონალიზმისა მხოლოდ ზედნაშენი“ უნდა გამხდარიყო და ეს ნამდვილად ასე გახდა, ამის მოწამენი ვიყავით ჩვენ ყველანი, ვინც 26 მაისის პალატის კარების გახსნა ვიხილეთ.

ამ კარებში ხელიხელ ჩაკიდებული შევიდნენ ნ. ნიკოლაძესთან, გ. ლასხიშვილთან, კ. აფხაზთან, გ. გვაზავასთან, გ. ჟურულთან ერთად ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კ. ჩხეიძე, ა. ჩხენკელი, ირ. წერეთელი და სხვანი, ცალცალკე პარტიებად რომ დარაზმულიყვნენ და წინად ურთიერთს სასტიკად რომ უტევდნენ.

ყველა ესენი, მითომ სხვა გვარად „მიმართულნი“ ეხლა ერთნაირად „აწყობილნი“, 26 მაისის ჰიმნით და თეთრი გიორგის დროშით, წელგამართულად და მხნედ მიაბიჯებდნენ ამ „კარებში“... აქ მათ ერთად დასწერეს გაგრძელება დროებით შეწყვეტილ „ქართლის ცხოვრებისა“. მათ ყველამ „26 მაისს, ნაშუადღევის 5ს და 10 წ.“ აუწყეს მსოფლიოს, რომ „მრავალ საუკუნეების განმავლობაში საქართველო იყო დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“... რომ მუხთალმა ბედმა მას ეს თავისუფლება წაართვა და ეხლა, ამ დღეს, საათს და წუთს ის თავის გვირგვინს ხელახლა თავს იდგამს და შედის საერთაშორისო ოჯახში, რათა თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭიროს. —რა მოგაქვთ? „გვეკითხება დღეს ეს საერთაშორისო ტრიბუნა—აცხადებს 26 მაისს ჩვენი პრეზიდენტი და იქვე პასუხობდა: „ჩვენ საერთაშორისო ოჯახში ახალნი არა ვართ, კვლავ მოვდივართ და თან 2000 წლის კულტურა მოგვაქვს“. ეს იყო ჩვენი 26 მაისის პალატისათვის მიტანილი შესანიშნავი სიმტკიცის ქვა.

მაგრამ ამ „განცხადებას“ დღეს ერთი შესწორება სჭირია: კაცობრიობამ კულტურის და ქვეყნების გადასარჩენად წითელ ბარბაროსებს რომ ებრძვის, უნდა გაიგოს, რომ ჩვენ 26 მაისის საკაცობრიო სალაროში ქართველი ერის არა 2000 წლის კულტურა შეგვაქვს, არამედ ორჯერ მეტი, ორმაგათ უფრო ხნოვანი...

დღეს ჩვენი ქვეყნის და ხალხის მდიდარი წარსულის რაობა უკვე ნათლად გამოალინა მთელმა რიგმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, ძველი, ანტიკური ძეგლების დაკვირვებითი შესწავლამ; ამ უძველესი მატერიალური კულტურის მონაცემებმა, რასაც ქართულმა მეცნიერებამ მზის შუქი მოჰფინა, ყოველი უცხოელი განაცვიფრა და ჩვენ სიამაყით აგვავსო...

თუ 1918 წელს ჩვენი დამწერლობის უძველეს საწყისების საბუთად „შუშანიკის ცხოვრება“, ან „ოთხთავი“, (რომელიც მეოთხე საუკუნეში, ან შეიძლებაუფრო ადრეც უნდა იყოს თარგმნილი) იყო მიჩნეული, დღეს—26 მაისის 45 წლისთავზე სულ სხვა სურათია: ქართული მეცნიერება მატერიალური ფრაგმენტების მონაცემებით (რაც მხოლოდ მცირედი ნაწილით აა გამოვლინებული) სავსებით ადასტურებს ჩვენი დიდი მეცნიერის, ი. ჯავახიშვილის ადრინდელ განცხადებას: „ეხლა ირკვევა, რომ ქართული უძველესი სამწერლობო ენის დასაწყისი საუკუნეთა სიღრმეში გვეკარგებაო“. (იხ. „პალეოგრაფია“)

ბერძნულ ძველ ძეგლების შესწავლა ხომ სავსებით ემთხვევა ამ დებულებას: „საქართველოში ძველთაგანვე დამწერლობის არსებობის შესახებ მოგვეპოვება ელინი მწერლების—აპოლონიოს როდოსელისა და ლუკიანე სამოსატელის ცნობები. მაგ. აპოლონიოს როდოსელი (მესამე საუკუნე ქრისტეს წინ) „არგონავტიკაში“ გვაუწყებს კოლხებზე, რომ მათ „შემორჩენიათ მამებისაგან დანატოვარი ნაწერები—კირბები (სამწახნაგოვანი დაფები რუქები,), რომელზეც წყლისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარია აღნიშნული“. („არგონავტიკა“ 4, 279) „ამგვარად ირკვევა“, ასკვნის კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი პ. ბერაძე, „რომ წარმართულ ხანის უძველეს დროიდან მოკიდებული, აეტ მეფის (მედეას მამის) კარზე ბერძენთა გმირებს მოსვლის უწინარეს საქართველოს ჰქონია დამწერლობა“...

არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო იმ ფაქტის და მატერიალურ ნაშთების მიხედვით, რაც თუნდაც თრიალეთის გათხრების შედეგად ჩვენმა არქეოლოგებმა მზის სინათლეზე გამოიტანეს და რის გამო უდაოთ იქმნა მიჩნეული, რომ დაახლოვებით **სამი ათას შვიდასი** წლის წინათ ქართულ ხელოვნებას ისეთი შედევრი შეუქმნია როგორიცაა თრიალეთის ოქროს თასი...

აი, რა „შესწორება“ შეგვაქვს დღეს საქართველოს ისტორიული პროფილის ამოსახსნელად... ე. ი. ის, რაც მთელი ქვეყნიერებისათვის 1918 წ. 26 მაისს ახალ საქართველოს უნდა ეთქვა, იმას აცხადებს ის 45 წლის შემდეგაც და მოითხოვს: „გახსენით ქართველთათვის ფართოდ კარები საერთაშორისო ოჯახში, მათ მოაქვთ 4000 წლის კულტურა! განა მაგ კარების ცერბერებს ამ წონის და ღირსების „მანდატი“ ბევრი უნახავთ?“ ჩვენ ამ „საუკუნეთა სიღრმეში დაკარგულ“ კულტურას კლასიკურის გაქანებით ამეტყველებს ქართული სახელმწიფოს ადრინდელი რენესანსი, რაიც სამ საუკუნის მანძილზე ჩვენს კვალს შარავანდედით მოსავს მათის ტიტანური მეფეებით: ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელით, გიორგი მესამე და დიდის თამარით, რომელმან „იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუამდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკვითებამდის“... (იხ. „ისტორიანი და აზმანი“)

აი, რა განძის და სალაროს შემცველია პალატი ჩვენი 26 მაისისა. აი, რა გრძელი და სახელოვანი ბრძოლებითაა მოპოვებული მისი სიმდიდრენი და რაგინდ შავ ღრუბელი არ მიადგეს მას, რაგინდ სუსხი და თებერვლის ყინვები არ აზრავდეს მის კედლებს, 26 მაისის პალატი ყველას გაუძლებს, არ შეირყევა და ახალ გამოდარებისას უფრო მეტის დიდებით გამობრწყინდება.

მაშ, მოდით ყველანი ამ პალატის დროშის სადარაჯოსთან დადექით... **შეიშვნეთ ის პატივი, რის ღირსიც „ქართლის ცხოვრებამ“ გაგხადათ...** განამტკიცეთ ქართველნო თქვენი ერთობა, თქვენი რიგები და გახდით ჭეშმარიტი მემკვიდრენი მათი, რომელნიც, მიუხედავათ ნაირ მიმართულებათა და დაჯგუფებათა, ომ გადახდილნი, ხელი ხელ ჩაკიდებულნი მამა პაპური ღირსებით შევიდნენ 26 მაისის პალატის ბჭეში; შევიდნენ და 4000 წლის თრიალეთის ოქროს თასით ხელში, საქართველოს „სადღეგრძელოდ“ სიტყვა სთქვეს. მტკიცეთ გწამდეს, რომ არარა ძალას შეუძლიან 4000 წლის ცოცხალ მატიანეს შეებრძოლოს და დასცეს.

ჩვენი მაისის პალატი ურღვევია! ეს სიტყვები არ არის; ეს არის ისტორიული სინამდვილე 4000 წელს რომ ითვლის.

მოდექით ყველანი და გავხდეთ ვალმოხდილნი, რათა თეთრი გიორგის წინ არც ერთი არ ვწითლდებოდეთ. ასწიეთ 26 მაისის დროშა!

აკაკი პაპავა.

ცხრა—თვალა მზე.

„ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავნი
ჩვენადვე გვეყუდვნეს მით იყვის უკედ“

ილია ჭავჭავაძე.

(ესკიზი)

ომი გათავდაო...

„მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს!“

ასე გაჰკიოდნენ სკვითების ნაშიერნი ჩრდილოეთში, და ეს ხმა საამური ყველას მოედო, მოედო და დაიძრნენ ეშელონებად, ზღვის ტალღებივით მოჰგორავდნენ და გზად არავის ინდობდნენ, არც მათ ინდობდნენ, ფეხდაფეხ მოსდევდა მათაც წონთქრის ნაშიერი; ვისაც გველეშაპივით პირი დაღებული ჰქონდა ყოველთვის და შთანთქმას უპირებდა იბერიას, კოლხეთს, ტაოს და კლარჯეთს, ეროშეთსა და შავშეთს, ტაშის კარს... და შთანთქა კიდეც ბევრი, თუმც ეს ბევრი ძნელი მოსანელებელი გახდა მათთვის, რადგან ბევრჯერ იწვნიეს ქართული მკლავის ძალა და დღესაც კარგად ახსოვთ მათ ქართული ყიჟინის „ჰკა მაგას!“ ძლევადობა.

მაგრამ დრონი იცვალნენ, იცვალნენ და ისე შეიცვალნენ, რომ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო...

ჰოდა, გააშიშვლეს ბრძოლის ველი, ქვეყნის შიგნით შემოიჭრნენ ჩრდილოელები და ერთნაირად დაერივნენ მშვიდობიან ქოხებსა და სასახლეებს. უკან მათ ხონთქრის ნაშიერნი მოსდევდნენ და აწიოკებით ჩვენ გვაწიოკებდნენ. იკავებდნენ მათ მიერ დანატოვარზე ჩვენს მამა-პაპათა ძვლებით მოკირწყლულ ადგილებს..

ერთი სტოვებდა ჩვენს მიწა-წყალს, მეორე კვლავ ეუფლებოდა მას და გზად ისიც არავის ინდობდა. სწვავდნენ და მოპირული ცულ[illegible] გლეჯდნენ და ძირს უკაფავდნენ ქართლის დოვლათს, ქართველი კაცის ნაამაგარს... ვიღაც გლეხის სახლში შევარდნენ, ამ ვიღაც გლეხს ერთადერთი ძროხა ჰყავდა, ბავშვების მარჩენალი; ის ძროხა დაჰკლეს ვერაგებმა და შამფურზე აგებულ მწვადებს შეექცეოდნენ... თხა-ცხვარი წაასხეს, ჯოგი საჯოგედან გამოლალეს და ჯანაბას იქით გალალეს... ჯამჭურჭლებს იტაცებდნენ, სპილენძის ქვაბებს ურმებში ჰყრიდნენ და მიჰქონდათ ყველაფერი, არაფერს ჩვენ გვიტოვებდნენ...

„ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან—რა არს მშვიდობა“

ოჰ, საქართველოვ! ყველამ მოიცალა შენთვის, ბრუნდმა და მართალმა... და მოადგნენ მას ეგრისიდან, კოდორს დესანტი გადმოსხეს, მესხეთს დანა დასცეს... ხიზნად შემოხიზნულები კი ხმაჩახლეჩამდე გაიძახოდნენ: „მცხეთამდის ცვენია სენი წირიმე“, და ბაიაზეთ-ბაიბურთიდან თავშემოფარებულები ეუფლებოდნენ ჩვენს ნაოფლარს ქართლშია თუ კახეთშია, ბორჩალოსა თუ სამცხეშია, და ხმალიც აღმართეს, მაგრამ ხმალს ხმალი დაუპირდაპირდა...

⁂

მთებში ბარათები დაგზავნეს... კვლავ უჭირდა ქვანაკრავ საქართველოს, ქუდზე კაცი იხმო ქართველთა სატახტომ.

—მეფე ერეკლეს გაჭირვებია, შველაი ენდომების!— და დაიძრა თუშ-ფშავ-ხევსურთა მუზარადიანი ლაშქარი. გადმოლახა ცხრადღის სავალი გზა, არ დაერიდა მთის მიუვალ მწვერვალებს, ის ვერ შეაშინა შორეულმა გზამ, გზათ არაგველებიც შეიერთა, არა სამასი, ხუთასი, ექვსასი, შვიდასი, ვინ მოსთვლის რამდენი ათასი; ცხრა მთა გადმოიარეს, ცხრა წყაროს წყალი იპკურეს, ცხრა ძმებს გადასძახეს, ცხრა მუხის ქვეშ შეჰფიცეს ერთმანეთს, ცხრა ხატი ახსენეს, ცხრა ანგელოზი, ცხრა პური გატეხეს, ცხრა მთა გადმოვლეს, ცხრა თავიან მდევებთან შესაბმელად.

„მტერს თავს შევაკლავთ,
უკან არ დავიხევთ“

მათი ფეხის ხმა ქალაქს აზანზარებდა, ვაჟკაცური მოძახილი კი:

„იქნება, რა იქნება,
ჩვენი მტერი მოისპობა,
საქართველო იქნება“

მოყვარეს გულს უამებდა, მტერს კიდევ ისრად ესობოდა. ხმალშემართულები მოდიოდნენ ქართლ-კახეთიდან შავტუხა ბიჭები, ცხენოსანი აფხაზები, ეგრისელები, იმერლები, გურულები, შუბლმომართული მხედრები სვანეთიდან, მთელი საქართველოდან, რადგან:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩვენი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“.

ბერებმაც გამოჰკეტეს სალოცავები და გალაშქრდნენ, მტერს „ვაი დედა“ აძახებიეს, ღდინი ადინეს, ცხრა პირი ტყავი ააძვრეს, მაგრამ მაინც ბევრი იყო.

ჰოდა, მაშველებს ეძებდა მრავალვაებას გა-

ცხრა—თვალა მზე.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

მოვლილი საქართველო... საქართველო გაეცალა მაშინ ჩრდილოეთს, მაგრამ არც ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნია სამხრეთისათვის, რომ მოშველებოდა მას...

არც ჩრდილოეთი, არც სამხრეთი!

არამედ სხვა, სულ სხვა, ვინც არ შელახავს ჩვენს პატივს, ვინც არ წაგვგლეჯს, ვინც შინიდან არ გაგვაგდებს.

ჰოდა, გამოჩნდა ასეთი, არა ჩვენი მეზობელი, არც ჩვენი მოდგმის, სულ სხვა მოდგმის, არც ჩვენი სისხლის, არც ჩვენი ენის, უცხო მიწა-წყლის, მაგრამ ახლობელი გახდა ჩვენთვის და სამხრეთ მოწოლილ ქარბორიოს წინ გადაელობა, გზა გადაუჭრა:

—სდექ!

აქ სხვა ხალხია, არც შენი, არც ჩემია. იგი თავისთავის პატრონია.

—სდექ!

დასჭექა მან და შესდგნენ, გაქვავდნენ ადგილზე.

⁂

—სამხრეთელი ყიზილბაშები შესდგნენ... რას აყოვნებთ, გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა!

ეს ხმაა ხალხის რჩეულთა... დარბაზის სწორთა.

ნაშუადღევის ხუთი საათია... სასახლის ზარმა ხუთჯერ დარეკა...

მოახლოვდა ჟამი ბედნიერებისა... პირველი ეროვნული კრება... ქართული დარბაზის პირველი სხდომა გაიხსნა. უცხო მიწა-წყლის დესპანმა, საქართველოს მკვდრეთით აღდგომა მიულოცა და დღეგრძელობა უსურვა. მამადავითზე ზარები აგუგუნდნენ. ილიას და აკაკის საქართველოს აღდგომა ახარეს და ამით გაახარეს ჩვენი ერის უკვდავება.

სიონის კათედრალი უკვე ზარების გუგუნში ჩაება, პარაკლისი გადაიხადა...

5 საათსა და 30 წუთზე სასახლის აივანზე გადმოდგა ეროვნული კრების მდივანი, მრგვალად დახვეული ეტრატი გაშალა და მრავალხალხთა თავმოყრილობას დამოუკიდებლობის აქტი წაუკითხა:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო...

ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა...

ზეიმია, ხალხთა ზეიმი, ულევი ზეიმი. ბინდით მობინდული ქვეყანა გახალისდა, ლაჟვარდ ცის კამარაზე გაზაფხულის მომღერლები, გულჭრელა ჩიტუნები აჭიკჭიკდნენ. მათ ჭიკჭიკს მოზეიმეთა გუგუნი შეუერთდა, როგორც მახარობელთ ისე შეეგება მათ მოზეიმე ხალხი და...

„სალამი ჩიტუნებო,
სიმნო სიხარულისა,
გულჭრელო ყვავილებო
კეკლუც გაზაფხულისა...
სალამი კუდრაჭებო,
სალამი გენაცვალეთ...

ვარდის თვეა... სასახლის მოედანზე ყურთა სმენა აღარ არის.. ბედნიერ ახალგაზრდობას წრე შეუკრავს, ბუქნაობს:

„ქალო ეგ რა შემოგიკრავს
ყელი მოგიღერებია,
ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისი გაგიხარებია“.

ტაშფანდურას ხმა ედება მთელ მოედანს:

„ამოდუღდი მარგალიტო
ნაგუბარში ჩადექ წყალო,
არც ისეთი ლამაზი ხარ,
როგორც ინაზები ქალო“.

მთიდან ბარში ჩამოსულ თუშებმა ფანდურზე დაჰკრეს თითები და მღერიან თავიანთ სამშობლოზე:

„მიყვარხარ, გულით მიყვარხარ
მთაო თუშეთო მზიანო,
მე მიყვარს შენი კალთები
ეგ შენი კლდენი ფრიალო“.

ზეიმს გვირგვინად დაედგა სახელდახელოდ შექმნილი ქართული ლაშქრის ხმამაღალი გუგუნი:

„ქართველო ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა“.

მთელი დღე-ღამე ზეიმობდა ხალხი და საზეიმოც ბევრი ჰქონდა, ძირს ეგდო დაისრული მტერი, და ქვეყანას ცხრა-თვალა მზე დაჰკაშკაშებდა:

„თავს გადგას თოვლის გვირგვინი
ზედ ცხრამზის თვალი ტრიალებს“.

მინდია ლაშაური.

გაბნეული საფლავები.

(ფიქრები მაისზე ზამთრის ბუხართან.)

ბუხარი, რომლის წინ თებერვლის გრძელ ღამეებში ვისხედით და ჩვენს დაკარგულ სამშობლოზე, მის 26 მაისზე, ვოცნებობდით, ჩვენი სახლის ბუხარი გახლდათ, ბერლინის განაპირა უბანში—ლიხტენფელდეში.

ზოგი ქართველი იმ სახლს „ქართულ ჩარდახს“ ეძახოდა, უფრო ახლობელნი კი „თამარის ჩარდახს“. ეს სახლი ომის წინა წლებში შევიძინეთ და ქართულ ყაიდაზე გადავაკეთებინეთ, რამდენათაც ძველი სახლის გადაკეთება მოხერხდა. ყოველ შემთხვევაში, ქართული თაღებიანი კარები და ფანჯრები, ქართული ბუხარი, ზოგი ძველებური სურათებით და ნიშებით და ქართული ხასიათის მორთულობით... ყველა ამას არ აკლდა საკმაოდ მოზრდილი ქართული ბიბლიოთეკა, არც ქართული პურ-მარილი, კეთილი გულით და, რაც მთავარია-ქართველი სტუმრები პატრიოტულის აღგზნებით და ჩვენი დაკარგული მაისის უზომო სიყვარულით...

აი, ამ ლიხტენფელდეს პატარა „შატუში“ (როგორც მას ზურაბ ავალიშვილი ეძახდა) ქართული ბუხრის წინ, ბევრ ფიქრებს გადაუვლია ჩვენს თავზე, ბევრი გრძნობები აღვივებულა მისი ნაკვერჩხლების ცქერაში და ბევრი ოცნებებიც ისე ჩაფერფლილა, ვით ის ცინცხალი ნაკვერჩხლები. მას შემდეგ რამდენი რამ მოხდა, რამდენმა წლებმა გადაგვიქროლეს: ის ბუხრიონი „ჩარდახიც“ და ჩვენ, ჭაღარა თმებით და ისევ იმ ფიქრებით დაგვტოვა ეხლა უფრო შორს, ოკეანეს მეორე ნაპირას.

იმ წარსულს და მაშინდელ „იქაურობას“ ასე დაშორებული, ხშირად ვშლი წელთა ფურცლებს ძველი დღიურებიდან, ვიგონებ მრავალ დღესასწაულებს, მრავალ 26 მაისს და მის მომლოცველთ, მუდამ უცვლელად რომ გვწერდნენ, ან გვეტყოდნენ: „გაისად ამ დროს ჩვენს საყვარელ სამშობლოში, თქვენთან ერთად“... რამდენი ასეთი „გაისათ“ გარდავიდა და რამდენი მიჰყვნენ იმ წლებს და მხურვალე გრძნობებით ცივ სამარეში ჩაწვნენ; ის „გაისათ“ კი ვეღარ იხილეს...

მაგრამ ეს „გაისი“ ხომ მაინც სდგას ჩვენს წინ; მან იცის, რომ გზა ჯერ მიხვეუ-მოხვეულია, მაგრამ არ იცის—რომელ „მისახვევის“ იქედ გამოანათებს მაისის მზე. იქნებ ეხლა ვდგევართ იმ უკანასკნელ მოსახვევთან, იქნებ გაისათ, ან მის შემდეგის შემდეგ წელს... გულთმისნები არა ვართ, მაგრამ ის მზე რომ გზაზეა ეს კარგად ვიცით... და მივდივართ ორმოცი, ორმოცდა სამი, ორმოცდა ხუთი წელიწადი... გაგრძელდა ბილიკი, გამრავლდა „მისახვევები“ და ბევრნი დავტოვეთ ამ გზაზე. იმ ბილიკებში ჩარჩნენ და მიისვენეს. მაგრამ მათი ფიქრები საქართველოს მზეზე, მათი მაღალი ზრახვანი ჩვენ გადმოგვილოცეს. ხვალ ჩვენც, უფრო უკან რომ მოგვყვებიან მათ გადავცემთ და როდესაც ამ განვლილ „ბილიკებს“ გადავხედავ იქედამ მომაშუქებენ სამშობლოს სიყვარულით ანთებული მრავალთა თვალები და მათ შორის იმათიც, ვინც ჩვენთან ერთად ლიხტენფელდენში, ჩვენებურ ბუხართან ისხდნენ და საქართველოს ტკივილებით კვნესდნენ

ბევრი მათგანი დღესაც დღეგრძელობენ და მხნედ ელოდებიან ბედნიერ „გაისათ“-ს. უსმინოთ ღმერთმან! კიდევ დიდხანს შეგვინახოს მათი თავი ჩვენდა სასახელოდ. იმათაც მოაგონდებათ, ხანდისხან მაინც, ჩვენი ბუხრის სითბო და მეც ტრადიციულ „გაისათს“ შევძახებ მათ: ჩვენს ძვირფას მიხ. წერეთელს, ივ. და ალ ნიკურაძეებს, ვ. ნოზაძეს, კ. ჩხენკელს, პელო გეგელაშვილს და სხვებს და ამ მაისისთვის ახალ თასს ძველის ოცნებით და „სადღეგრძელოთი“ შევაგებებ... ისინიც ძველებურად-ჩვენებურად დიასახლისს დალოცავენ...

მაგრამ სხვანი კი—იმ ბუხრისთვის განდობილმა ფიქრებმა თან წაიღო. ქართულმა ნაღვერდალმა დაფერფლა მათი გული და სდუმან გამოუცნობის იდუმალობით.

მე მინდა ამ 26 მაისს ზოგის სახე გავიხსენო, მათ თვალებში ისევ ჩავხედო და ვუთხრა იმედიანი სიტყვა ქართველ ქალისა, მათი მასპინძელისა; გავამხნევო, რომ გზა მათი გრძელდება,—„განწირული სულის კვეთება ტყვილად არ ჩაივლის“, და უკანასკნელი „მოსახვევიც“ ახლოა.

ამ მაისშიც ოცნებით მათში ვარ. აი, ზის ბუხართან თითქოს მოხუცი, მაგრამ ჯერ გაუტეხელი კაცი, გრძელი ჭაღარა წვერით და წვრილ კრიალოსანს მარცვლავს. წმინდანის ქანდაკებასავით ჩამოსხმულია მისი სახის ნაკვეთები, რომლისაგან ასურეთის პროფილი იცქირება. ნაღვლიანის თვალებით დაჰყურებს ბუხრის ნაკვერჩხლებს, ფიქრებშია წასული. გუშინ მან რადიოში შემთხვევით ქართული ოპერა მოისმინა... დაიღალა ტირილით... დღეს ამ თვალებს სხვა ალმური აშუქებს...—საქართველოს ბევრჯერ უნახავს ასეთი ჭირი, იქნებ უარესიც, მაგრამ გაუძლო... ამასაც აიტანს, კი, ბატონო, აიტანს! ოღონდ მოთმინება გვმართებს და ჩვენი წმინდა საქმის წმინდათ და სუფთად შენახვა... უნდა სუფთანი ვიყოთ ბოლომდე... ჭეშმარიტად, თავიდან ბოლომდე სუფთა იყო ეს კაცი, სუფთად მოაზროვნე, ყრმულად სპეტაკი, მაგრამ... ვერ აიტანა „ობლობა სისხლის ცრემლები ვღვარეო, წამძლია სულმა და გულმა, შენს ნახვას დავეჩქარეო“ და წავიდა ჩვენი კეთილი და მუდამ ქალწულებრივად მორცხვი სამსონ ფირცხალავა, რომელს მართლა „წასძლია სულმა და გულმა“.

მხოლოდ ორიოდე წელი (და მერე ვინ იცის რა მძიმე, რა ტკივილებით სავსე წლები!) გაატარა საყვარელ თბილისში და მალე კარაგანდის ცივ მიწას მიებარა...

აი, მეორე სილუეტიც: თავდახრილი, ფიქრებში წასული. მისჩერებია ბუხარს ეს წამოწითლებული, ნახევრად მომღიმარე ,სახე გაბადრული კაცი და თითქოს თავისთვის ლაპარაკობს: „ეს რა ოქრო ჩაგვივარდა ხელთ, დიდი ოქრო და უძირო ზღვაში კი გადავუშვით.. აფსუს!“ და გულის ტკივილით ამოიკვნესებს ჩვენი მეცნიერი, ჩვენი ზურაბ ავალიშვილი. მერე აქოჩრილ თავს მაღლა ასწევს და დინჯად, მძიმედ გახსნის თავისი ცოდნის მდიდარ სალაროს და იქედან რამდენ რამეს, მომხიბლავს და ახალს ამოალაგებს. მძიმე, ხშირად „მწიგნობრულის“ თავისებურის ენით. ჩვენი საყვარელი მიხეილი, ზურაბს ქართველ ენციკლოპედისტს რომ უწოდებს, თავისი კეთილშობილი პროფილით, ეხლაც დიდის ინტერესით აყოლებს თვალს მძიმედ მოსაუბრეს... და ქართული ენის ოსტატს არ ღლის ზურაბის მეტად გაგრძელებული და გაძნელებული სიტყვები. მაგრამ მიხეილს აწეულ წარბებში ატყობ, რომ მას ამ ბაასის „აზრი“ უფრო უშლის, ვიდრე ენა.

ხანდახან, მართლაც, უცნაურ დებულებას ვისმენთ მისგან, ზოგჯერ გამაღიზიანებელსაც ბ-ნი ზურაბი ამჩნევს ჩვენს უკმაყოფილებას, მაგრამ აუღელვებლივ, ძველი ქართული სიდარბაისლით და სიდინჯით მიჰყვება თავის რკინის ლოღიკას, სჭრის ვით ფოლადი, ცივი ფოლადი... მაგრამ გუმანით ხვდები, რომ ამ „ცივ კაცს“ გულში ღრმად ჩაფლული აქვს გზნებანი დიდის პატრიოტისა. ალბად ამან თუ უკარნახა მას მისი წიგნის ეპილოგში („საქართველოს დამოუკიდებლობა“) შემდეგი ნათელი სიტყვები: **„და დაამარცხეს 26 მაისი“... მაგრამ ძველი ივერია უკვე აღსდგა მკვრდეთით, უკვდავების წყაროთი ნაპკურები... და მისი ხელახლად მოკვლა შეუძლიან მხოლოდ სულმოკლეობას მისთა საკუთარ შვილთა...“**

მაგრამ ბუხართან ბაასის დროს მას დინჯთან და მოკვეთით წამოსროლილ ჰუმორთან, მაინც გამოსჭვივის ერთგვარი დაჟინება, ამოჩემება; შეიძლება შემთხვევით აკვიატებული დებულებისა. მის ამ ზოგიერთ უცნაურ მსჯელობაზე გრიგოლ რობაქიძე ჯერ შეირხევა, შემდეგ თავს ასწევს, სავარძელს უკან გაახო-

ახალი იმედები ახალ გზაზე.

(ფიქრები 26 მაისის 45 წლისთავზე)

„თქვენ ჩემთან ხელი არა გაქვთ,
შემოსილი ვარ ნათელით!“... (ვაჟა)

1918 წლის 26 მაისის ნათელით მოსილ საქართველოს მკვდრეთით აღდგომიდან უკვე 45 წელი გავიდა.

საუკუნოებრივ მონობის შემდეგ ფეხზე დამდგარმა სამშობლომ მხოლოდ სამი წელი ისუნთქა თავისუფლების მზის ქვეშ და 42 წელი კი ბნელ უკუნეთში გაატარა ბორკილდებულმა. გმინვად აღწევს ჩვენამდე მისი კვნესა, მაგრამ რა ვქნად? ვინ არის გამკითხავი, უფალი ჩვენი ჭირისა.

ამ ათეულ წლებში ვინ და სად არ მოიგონეს რამდენს ახსნეს ბორკილი, უწამლეს, უპატრონეს...

საქართველო კი ისევ დახშულ კარებს უკან გმინავს, იქ წყვდიადია, მზე ვერ ატანს

⁂

თითქოს მეორე მსოფლიო ომის შედეგათ მთელმა კაცობრიობამ დაინახა, რომ პიროვნების წარმატების გზაზე სვლა, მხოლოდ თავის უფლების კარების გახსნით შეიძლება. მაგრამ პიროვნების თავისუფლებას უნდა წინ უსწრებდეს მისი ეროვნული განთავისუფლება. მხოლოდ თავისუფალ ერებს შეუძლიანთ წარმოშვან თავისუფალი პიროვნებები, რომლებიც ქმნიან ყოველგვარ სულიერ და მატერიალურ დოვლათს.

ადამიანის განთავისუფლება სხვა და სხვა გვარ მონობისაგან, რათა მან შემოქმედებითი პოტენცია გაშალოს, შესაძლოა, ვიმეორებთ, მხოლოდ და მხოლოდ ერების სრული განთავისუფლებით.

აი, ამ გზის კარი უნდა გახსნას მთელმა კაცობრიობამ, თუ მას გადარჩენა უწერია, თუ მის უძველეს კულტურას კიდევ შერჩენია სიცოცხლის უნარი და ძალა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დიდი ომის შედეგათ წინდახედული სახელმწიფოები შეგნებულად ხსნიან ამ „კარებს“. აქამდე დამორჩილებულ ყველა ერებს და კოლონიებს თავისუფალ გასავალს აძლევენ, დახშულ კარებს თვითონ უღებენ. ამრიგად, თითქმის ყველა, ხშირად ჩამორჩენილი, უტრადიციო და პრიმიტიული, უკულტურო ერები ამ „კარებით“ გამოდიან, იწყებენ ახალ ფორმაციას და პროცესს დამოუკიდებელ ერის და მისი უზენაესობის გამომხატველ ორგანოების შექმნას.

⁂

ამ საერთო კანონს, ეპოქის „კარის გახსნას“ ჯერ ჯერობით მხოლოდ რუსეთი უწევს სასტიკ წინააღმდეგობას...

რკინის დახშულ კარებს იქედ, ტერორით და სისხლით შექმნილ „კავშირში“ ჩამწყვდეული რჩებიან ხალხები და ერები, რომელთაც წარსულში, თავისუფლების პერიოდებში, მდიდარი და სახელოვანი კულტურა შეუქმნიათ, მრავალ საუკუნეთა გასწვრივ ეროვნულ სახელმწიფოებრივის ცხოვრებით უვლიათ და ნათელი კვალი დაუჩნევიათ. „საბჭოთა კავშირის“ ამ დამონებულ, კულტურულ ერთა შორის საქართველოს უდავოთ ერთი პირველთაგანი ადგილი უკავია. ამის უარყოფა დღეს აღარავის შეუძლია. არც გვგონია რომელიმე ერი „საბჭოთა კავშირისა“ ამაში შეგვედაოს, რომ მისი კულტურის და სახელმწიფოებრივ უნარიანობის გრძელ გზის მიხედვით—პირველ რიგებში საპატიო ადგილი საქართველოს უნდა დაეთმოს.

მაგრამ ეს მეტყველი მონაცემები ჩვენი უძველეს კლტურისა რუსეთს არას ეუბნება. მაშინ როცა კრემლი ყოველ კუთხეში ან თვით გაჰყვირის, ან სხვებს აყვირებს: შავკანიანების და პრიმიტიულ ერების განთავისუფლებას მოითხოვს კაპიტალისტური იმპერიალიზმისაგან, თავის რკინის კარებში მას დახშული ჰყავს საქართველო, უკრაინა, სომხეთი, ლიტვა, ბელორუსია და სხვანი მრავალნი. ასე გადიან წლები მრავალი წლები და ჩვენს ყურამდე აღწევს მხოლოდ გმინვა ჩვენი ხალხისა და გამკითხავი არსაიდან სჩანს. როდემდის...? ეყოფათ კი ძალა? და ჩვენ მრავალ ადვილათ ასახსნელი შემთხვევის გამო ამ სისხლით და ცრემლებით მორწყულ საზღვრებ აქედ დარჩენილები 26 მაისის 45 წლისთავზე დახშული კარების წინ ვდგევართ და გვინდა მათ გადავძახოთ, გავამხნეოთ...

მაგრამ რა უთხრათ, რით ვანუგეშოთ?

განა შეგვიძლიან ათასჯერ განაწამებს, მოთმინებიდან გამოსულს, საჭურველის ხელში აღება ურჩიოთ? შეგვიძლიან აჯანყების ცეცხლის გაჩაღება ურჩიოთ, რათა მტერს ტერორზე ტერორით უპასუხოს?

დღევანდელ პირობებში ეს ხომ ჩვენი ერის სრული განადგურება იქნება, მისი ფიზიკური არსებობის გაქრობა!. მოსკოვის სატრაპები ჩვენს ასეთ სასოწარკვეთილების ნაბიჯს ცის მანანასავით ელოდებიან. მაშინ კრემლის იმპერიალიზმს და მის ჯალათებს ხომ საბოლოოდ გაეხსნება ხელები და თუ დღეს ქართველთა გარუსების პროგრამა ჩვენი ტერიტორიის აჭრელებით, რუსთა ჩამოსახლებით და ქართველთა შორეულ კუთხეებში „მივლინებით“, „ოცწლედობით“ არის გააზრებული, მაშინ ეს ხომ ერთის დაკვრით ჩატარდება!? შიშველი და ტიტველი ქართველობა აყრილი და გადასახლებული იქნება და მისი ცოცხალი, მოწინავე ძალები ადგილობრივ გაჟლეტილი.

შახაბაზის დრო სულ პატარა და მკრთალი ეპიზოდის ხასიათს მიიღებს. ამიტომ ათასგვარად ჭირნახადი ერი ამ გზას არ გაჰყვება და 1924 წლს აჯანყების განმეორებას მას მხოლოდ უსაშინელესი მტერი ურჩევს. საქართველო თავის ძალებს სათუთად უნდა გაუფრთხილდეს და მტრის წინ განმარტოვებული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დადგეს...

მაშ რა დაგვრჩენია? შერიგების და შეგუების გზა?

არა, და ათასჯერ არა!...

ჩვენი ქვეყანა თავის ხანგრძლივ ისტორიულ გზაზე ეროვნულ დამონებას არასდროს არ შე

ჩებს, უცებ წამოდგება და გახსნის თავის ხატოვან, წარმტაც ქართული ენის სალაროს... სჩექს და ჰქუხს ჩვენი გრიგოლი, ყველას გვაჯადოვებს მისი პოეზიით გაშუქებული არგუმენტაცია...

მაგრამ ზურაბი მხოლოდ უცნაურის ღიმილით, უძრავად მისჩერებია ამ „ოქრო პირს“ და ბოლოს ისევ აუჩქარებლად და ცივად შენიშნავს: „ბატონო გრიგოლ, ისტორიული ფაქტები ძალიან დაშორებული არიან თქვენი პოეტური მიდგომისაგან“.

აქ შალვა ამირეჯიბის სილუეტი გრძელ ხელებს გაშლის, შემდეგ გრძელსავე, გამხდარ თითებს რამოდენიმეჯერ სახეზე ჩამოისვამს, თითქოს უნდა გაიღვიძოსო და ნელის, შემპარავის ხმით (მას არ უყვარდა ხმამაღლა ლაპარაკი) იწყებს ტკბილის, დარბაისლურის ქართულით ამბებს: საყვარელ ერეკლეს სახლზე, შემდეგ მანანა ორბელიანზე და თქვენც, მასთან ერთად, მორიდებით, შედიხართ ძველ ტრადიციულ ოჯახთა წრეში. იქ, სადაც „ორბელიანთა სევდას“ საქართველოს პალატზე და ყაბახზე, საიათნოვას ბაიათები და მაიკო ორბელიანის მომხიბლავი ლეკური (ქართული) სცვლის

სადაც „გადმომდგარან ტაშები
ჩოხებზე და კალთებზე“
(შალვას მომხიბვლელი ლექსებიდან)

ბოლოს ამ დავას ჩვენებური სუფრა ანელებს... და ბუხარი ეხლა თავისთვის, მარტო ფიქრობს და იფერფლება. ყველასი ოცნება და ფიქრები საქართველოს მაისზე ნაკვერჩხლებში ჩაილვარა და მას ნაცარი გადაეყარა...

დაიკარგა კი? არა მე მჯერა, რომ ის თაიგული,—სევდათა და ფიქრთა თაიგული, სამშობლოსათვის უკვდავია. დღეს ის დაშთენილთა გულში ღვივის, ხვალ კი მომავალ თაობის მკერდში აგიზგიზდება და ასე წავა თაობიდან თაობამდე, ვიდრე ქართული მაჯის ცემა არ შესწყდება... ისე, როგორც არ დაიკარგება საქართველოსთვის აღსრულებულთა გაბნეული საფლავები...

საფლავები შორეულ კარანგადაში, ბავარიის პატარა ქალაქ შვარდოფში, სადაც 1944 წ. უკვე ყოველგვარ იმედების გამოთხოვებით, ჩვენი ზურაბი სამუდამო ძილს მიეცა. და შალვა ამირეჯიბისა პარიზის ერთერთ უბნის სასაფლაოზე.

⁂

გულზე მძიმე ჯვარივით მაწევს, რომ ამ უკანასკნელს უკანასკნელი თხოვნა ვერ შევუსრულე. გარდაცვალების წინ ვინახულე მძიმე ავადმყოფი, მეგობრებით გაჭედილ პატარა ოთახში. ძლივს არხევდა ჩაცვევნილ თვალებს. გამოთხოვებისას ხელი დამიჭირა და ძლივს წაიჩურჩულა: „თამარ, ხვალ მოდი, უნდა რამე გითხრაო“

მეორე დღეს რაღაც მოულოდნელი შემხვდა და ველარ მივედი, ხოლო მესამე დილით კი გვაცნობეს, რომ მან სამუდამოთ დახუჭა თვალებიო. რა იყო ის, რაც „მიმავალს“ ჩემთვის უნდა დაებარებინა, დღემდე ვერ ამოვხსენი. არა ნაკლებ მტანჯავს, რომ მისი საფლავიც უნახავი დამრჩა. ასე წავიდნენ ისენი...

გაიფანტა და გაიბნა მათი საფლავები, მაგრამ მათი ზრახვანი, მათი ტკბილი ოცნება საქართველოს მაისზე ისევ ღვივის, ისევ ათბობს ჩვენს ლტოლვილ გულს.

ამ 26 მაისსაც იყოს „მათი გამარჯვებისა“.

თამარ პაპავა.

26 მაისი უცხოეთში.

ბუენოს-აირესი. (არგენტინა)

საქართველოს დამოუკიდებლობის 45 წლის თავის აღნიშვნა არგენტინაში ჩატარდა შემდეგი სახით: 1. 26 მაისს ყოველი მამულიშვილი სასოებით შეხვდა თავის ახლობელთა წრეში და მისთვის წამებულნი მოიგონა. 2. ორშაბათს, 27 მაისს საღამოს 7 საათზე საზოგადოება „მოვიმენტო სივილ ანტიკომუნისტა“ და „ლიბერასიონ ეუროპეა“ სალტაზე თავის ბინაში პრესის წარმომადგენლებისათვის გამართეს მოხსენება საქართველოზე.

3. კვირას, ივნისის 2-ს, დილის 9 ს. და 45 წ. რადიო „ექსელსიორმა“ მოაწყო ამ ისტორიულ დღეზე საგანგებო გადაცემა ქართული მუსიკით („დაისიდან“). 4. იმავე დღეს რადიო „პორტენიამ“ მოაწყო იგივე გადაცემა მუსიკით. გადაცემა მოხდა საღ. 6 ს. და 57 წ.
5. „ლიბერასიონ ეუროპეას“ ურუგვაის განყოფილებამ გამართა იქაურ რადიოში საგანგებო გადაცემა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეზე. 6. სხვადასხვა ადგილობრივ გაზეთებში მოთავსდა წერილები 26 მაისის შესახებ.

ყველა ქართველს მიულოცავ ამ დიადი დღის 45 წლისთავს.

დიდება საქართველოს! გამარჯვება 26 მაისს!

აკაკი აპაპვა.

საქ. ერ. მთავრობის წარ. უცხოეთში.

პარიზი. (საფრანგეთი).

ქართული სათვისტომოს თაოსნობით მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის 45 წლისთავის საზეიმო კრება. დაესწრნენ: რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები, ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები. დარბაზი მორთული იყო ქართული ეროვნული და ფრანგული დროშებით.

საზეიმო კრების საპატიო თავმჯდომარე იყო საფრანგეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი ბ-ნი რობერტ შუმანი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა. ფრანგულ ენაზე მან დამსწრეთ გააცნო საქართველოს ორიათას წლოვანი ისტორია. ილაპარაკა ერისა და პიროვნების თავისუფლებაზე, რაც ასე ტარდება ეხლა დასავლეთში და ხაზი გაუსვა რუსულ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის მუხანათურ ალმავლობას. „ერის თავისუფლება უკვდავია, დრო... დროა საჭირო და საქართველოც მოიპოვებს სუვერენობას“-ო.

ქართულად ილაპარაკა გ. წერეთელმა. მან მოკლე ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მდგომარეობას, რომელშიც ღრმათ არის ჩაქსოვილი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საკითხი. რუსული იმპერიალიზმის მჭერმეტყველური მაგალითების შემდეგ,—ბ-ნ წერეთელმა განაცხადა: საქართველოს უნახავს მრავალი დამპყრობელი. საკუთარი და მტრის სისხლით არის გაპოხიერებული ქართული მიწა და ასე მოუტანიათ ჩვენს წინა თაობებს ჩვენამდე ეროვნული სული და ნებისყოფა გაუტეხელი. ვერც რუსული იმპერიალიზმი ჩაკლავს ქართველი ერის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობის იდეას და მისწრაფებებსო.

შემდეგ საზეიმო სხდომაზე წაიკითხეს ჩვენი ქვეყნის უცხოელ მეგობრებისაგან გამოგზავნილი წერილები და დეპეშები.

ქართულმა გუნდმა შეასრულა ჩვენი ეროვნული ჰიმნი „დიდება“. ჩვენმა ახალგაზრდებმა საუკეთესოდ შეასრულეს ქართული ცეკვები.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა ტრადიციული ვახშამი.

დამსწრე.

დასავლეთ გერმანია.

დასავლეთ გერმანიაში მცხოვრებ ქართველებმა 26 მაისი მიუნხენის გარეუბანში გადაიხადეს. დარბაზი მორთული იყო საქართველოს ეროვნული დროშებით. კრებას მრავლად დაესწრნენ ქართველების გარდა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების და დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო კრება ქართულ და გერმანულ ენაზე გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნ ნ. ნაკაშიძემ. თავმჯდომარე ვრცლად შეეხო საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებს და ხაზგასმით აღნიშნა ქართველი ხალხის აღფრთოვანება, რომელსაც განიცდიდა მთელი ქართველი ერი, განურჩევლად სოციალური მდგომარეობის, რელიგიური, თუ პოლიტიკური სხვაობისო. გამონაკლის წამოადგენდა თითებზე ჩამოსათვლელი ქართველი კომუნისტები, რომლებიც რუსეთის ერთგულებას არჩევდნენ მშობელი ერის მარადიულობას და რომლებიც შემდეგ თვით რუსულმა დიქტატურამ გაანადგურა, რადგან მუდამ ასეთია ბედი რენეგატისაო.

დღეს რუსი დამპყრობელები და მათი ქართველი აგენტები ყოველი გზით ცდილობენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დაშლასო—განაცხადა ბ-მა ნ. ნაკაშიძემ,—პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობა 26 მაისის აღსადგენად ძილს უფრთხობს რუსეთის დღევანდელ ბატონებს, მაგრამ ჩვენი დაშლის ცდა ფუჭი ოცნებაა. ჩვენ გზას გვინათებს და გვამჭიდროვებს ეროვნული თავისუფლების დიადი იდეა.

ჩინგიზ ხანები, ლენგ-თემურები, შახაბაზები, მურვან-ყრუები ისტორიას ჩაბარდნენო—აცხადებს ბ-ნი ნ. ნაკაშიძე, ქართველი ერი არსებობს და იგი იარსებებს არა დაპყრობილი, არამედ თავისუფალი და დამოუკიდებელიო.

წაკითხულ იქმნა მრავალი მისალოცი წერილები და დეპეშები.

შემდეგ გაიმართა ნადიმი, სადაც მრავალმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ საქართველო კვლავ აღსდგება თავისუფალი და დამოუკიდებელი და ის თავისუფალ საკაცობრიო ოჯახში დაიჭერს ღირსეულ ადგილსო.

დამსწრე.

ნიუ-იორკი. (შეერთებული შტატები)

მაისის 26 სასტუმრო „რუზველტის“ დარბაზში ა. შ. შ. ქართული სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის 45-თე წლისთავი.

დარბაზი მორთული იყო ქართულ-ამერიკული ეროვნული დროშებით.

საზეიმო კრება გახსნა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარეს მოადგილე ბ-ნ თ. ბაგრატიონმა.

ბ-ნმა თ. ბაგრატიონმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა საქართველოს ისტორიისა; აღნიშნა ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლები ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; თვით დამოუკიდებლობის ეპოქა, რომელსაც იმდროინდელი უცხოელი მოგზაურები „ოაზის უწოდებდნენ აბობოქრებულ ზღვაში“ და 1921 წ. რუსეთის კვლავ შემოსევა და ჩვენი სამშობლოს ხელმეორეთ დაპყრობა. ბ-მა ბაგრატიონმა დიდ ხანს შეაჩერა საზოგადოების ყურადღება 1921 წლიდან წარმოებულ განმანთავისუფლებელ ბრძოლებზე. შეეხო რა მრავალ შეიარაღებულ აჯანყებებს, რომლებიც ქართველმა ერმა რუს დამპყრობელს მოუწყო, თავისი შელახული ეროვნული უფლებების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მან განაცხადა: განვლილი ორმოცდაორი წელი უდიდესი წამების წლებია ქართველი ერისათვის, მაგრამ მრავალჭირნახულმა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოწრთობილმა საქართველომ ეს წამების და ტანჯვის გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. ბოლშევიკურმა სიველურემ და ბარბაროსობამ ვერ ჩაჰკლა ქართველ ერში დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა და ქართველი ხალხის ეროვნული ნებისყოფა არც ერთ მომენტში არ შესუსტებულა, არ მოდუნებულაო.

ბ-მა ბაგრატიონმა გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ საქართველო კვლავ აღსდგება, როგორც თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფო და თავისუფალ ერთა შორის კვლავ დაიჭერს თავის კუთვნილ საპატიო ადგილსო.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის დაპყრობილ ერთა და ლიტუანიის გამანთავისუფლებელ კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ მარტინ ბრასკამ.

-ბ-ნი ბრასკა საზოგადოთ შეეხო ერთა თავისუფლების ისტორიას და ხაზგასმით აღნიშნა: ერის განთავისუფლება თვით დაპრობილ ერის ნებისყოფის საკითხია. იქ სადაც დამპყრობელი ვერ ახერხებს ეროვნული ნებისყოფის გატეხვას, შეუძლებელია მის მომავალს უიმედოთ უყუროთო. დაპყრობილ ერთა უცხოეთში წარმომადგენლობის მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ მომავალ, განთავისუფლებულ სამშობლოს მოუმზადოს ნიადაგი და თავისუფალ კაცობრიობას გააცნოს თავისი მდიდარი წარსული. იმპერიალიზმმა დაკოლონიალიზმმა საზოგადოთ მოჭამა დრო და ეს ადრე თუ გვიან რუსულ იმპერიალიზმსაც ბოლოს მოუღებს და კვლავ ვიხილავთ ჩვენს სამშობლოებს თავისუფლებსო.

რიგებია და არც არასდროს შეურიგდება.

მისი გზა ხან ახდილი, გაშლილი ბრძოლებით მიდიოდა, ხან კიდევ ნელის და ფრთხილის, მიხვეულმოხვეული მძიმე ბილიკებით, მაგრამ თავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშა ხელიდან არ გაუშვია, მტრისათვის არ დაუთმია.

ათასგვარ ხერხით, მოქნილობით და ბრძნულ მოთმინებით მიიწევდა თავისუფლებისაკენ და თავისი დროშა დღემდე ღირსებით უტარებია.

ხშირად აუტანია ტკივილები, მძიმე და მწვავე, მაგრამ ჩუმად, რათა კვნესას მტრის ყურამდე არ მიეღწია. აი, ამ ნაცადი გზით უნდა ვიაროთ დღესაც და ასე დავაგროვოთ და აღვზარდოთ ახალი ეროვნული ძალა.

ვეცადოთ, სადაც და რითაც გაგვეწყობა, იმ გზით და იმ საშუალებით, რაც დღეს დაგვრჩენია, ჩვენს ყოველ აზრს და ქმედობას, ნაბიჯს და შრომას ქართული რაობის კვალი დავაჩნიოთ: უფრო მტკიცედ შევიყვაროთ და ახალთაც უფრო მეტად შევაყვაროთ ჩვენი წარსული გავშალოთ და გამოვავლინოთ ჩვენი ძველი ვინაობა, ვეძებოთ და გამოვჩხრიკოთ ყველგან და ყველაფერში საამისო მასალები, გზები და საშუალებები...

ამით აღმოცენდება და დაირაზმება მომავალი თაობა. მოკლედ: ჩვენ ილიას გზა ხელახლა უნდა განვლოთ, „უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“, უნდა განუცხოველოთ რწმენა. ამ გზით „კვლავ სვლამ“ ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს, არც დაგვაფიქროს. ილიას თაობის გრძელი გზა ჩვენ ფაქტიურად თითქმის განვილი გვაქვს. დღეს სულ მცირედი ნაკვეთი და დაგვრჩენია „აღდგომის კარებამდე“.

განა დღეს საქართველოში მებრძოლთა ძიება და სათითაოდ გამონახვა საჭიროა? განა ჩვენი ხალხი ერთს მთლიან შეფიცულთა ბანაკს არ წარმოადგენს? განა „გმირების“ ძებნა საჭიროა აკაკის „დაფითა და ნაღარით“?

მთელი საქართველო, უკვე ეროვნულად და პოლიტიკურად მომწიფებული ფხიზლად სდგას და ზარების ხმას ელოდება; დღეს ის თავის „მოკავშირეებს“ უცდის და მათი საერთო ამოძრავების ნიშანს ფრთხილად უთვალთვალებს. მან იცის—ვინ არიან ესენი. პირველ რიგში მისი მოკავშირენი არიან მრავალმილიონიანი ერები, რუსეთის „კავშირში“ იმპერიალიზმის მძიმე ბორკილებში ჩაჭედილნი რომ იტანჯებიან. ესენი, ჩვენებრ ისტორიული და კულტურული ტრადიციებით და სახელმწიფოებრივი წარსულით აღჭურვილი ერები, ხომ რიცხვით წმინდა რუსის ხალხს არ ჩამოუვარდებიან. ესენი, ჩვენს ბედში მყოფნი, ხომ ჩვენი პირველი და ბუნებრივი მოკავშირენი არიან. ამათ, ასევე მწყობრად მოსდევენ მრავალმილიონიანი მოკავშირენი „სატელიტების“ ერებისა: პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარიის, ჩეხების, სლოვაკების, ხროატების და სხ.

ყველა ესენი ხომ მდიდარი და ხანგრძლივი ისტორიულის წარსულით და თავისუფლების ტრადიციებით არიან აღჭურვილნი, ეროვნულად გაერთიანებულნი და ჩუმად ჩასაფრებულნი დგანან და ჯალათის ერთ მარცხს, მის წაჩოქებას,—უცდიან, რათა ყველანი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგნენ და დაპყრობილ ერებს მტარვალის ბორკილების დასამსხვრევად და მიტაცებულ თავისუფლების დასაბრუნებლად მოუწოდონ.

⁂

აი, ყველა ესენი, ჩვენთან ერთად, რუსულ ღუმელში ერთ ტაფაში რომ იწვიან, არიან საქართველოს ბუნებრივი მოკავშირენი.

მაგრამ განა მარტო ამით თავდება მათი რიცხვი?

ამათ გარდა ჩვენ მოგვეპოვება დიდი და ძლიერი „მოკავშირე“, რომელიც დღეს უკვე „სავარაუდოთ“ ჩასათვლელი აღარ არის. ის აშკარად ჩვენს მხარეზეა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, „თავის თავის მხარეზეა“ მტკიცედ მდგომი, დღეს უდიდესი და უძლიერესი ქვეყნები და იმპერიები შეინძრნენ და სულ ახლოს და აშკარად დაინახეს ის საშინელი საფრთხე, რაც მათ გუშინ ან „ზღაპრად“, ან ძალიან შორეულ ამბავად ეჩვენებოდათ.

მთელი კულტურული კაცობრიობა, მისი სულიერი და მატერიალური დოვლათი სრულ განადგურების წინ სდგას და თუ მალე, სულ ჩქარა, „კბილებამდე“ შეიარაღებულ, გაფრთებულ კრემლის ბანდებს, უფრო ძლიერის საჭურველით და გაერთიანებული ძალებით არ დაარტყა, ის უეჭველად დაიღუპება...

მადლობა ღმერთს, დღეს მოსკოვის „თანაარსებობის თეორიებისა“ აღარავის სჯერა. „პაციფისტური მუსიკის ჰანგებში“ ყუმბარების და ზარბაზნების ხმები ყველას ესმის.

რუსულ ფოლკლორთან, მეცნიერთა ლექციებთან, პოეტებთან, ფეხბურთელებთან, მოცეკვავე, მოჭადრაკეებთან და „მეთევზეებთან“ ერთად, რომ დივერსანტულ-ჯაშუშური ძალები შემოჭრილან და ყველგან მეხუთე კოლონას წვრთვნიან, აიარაღებენ, აქა-იქ ცეცხლს აჩენენ და დიდი ხანძარის მოლოდინში ხტიან, მღერიან, ცეკვავენ, პაექრობენ და აღმოსავლურ-მონღოლურ ღიმილით იღიმებიან, ამას უკვე ყველა ხედავს.... და დღითი დღე ყველგან იზრდებიან ცხოველი ძალები, რომლებიც „მსოფლიო ბატონობის ზნით“ დაავადებულთა სტიქიის საწინაალმდეგოდ ირაზმებიან.

⁂

წითელი რუსეთი ამ საფრთხეს ნათლად ხედავს და იცის, რომ უომრად ის მალე ამოიხრჩობა. კომუნიზმის იდეის ლიკვიდაცია უკვე დაიწყო. მაგრამ რა ქნას? მან ხომ ისიც კარგად იცის, რომ ომი და ყოველი ომის ცეცხლი, სადაც არ უნდა გახსნას ის, უსაშინელესის ძალით და იმავ წუთში თვითონ მასვე მოედება და შემოერტყმება. იცის, რომ მას, დამარცხებასთან ერთად მრავალი ერების,—და თვით რუსის ერის,—სამსჯავრო და რისხვა არ ასცდება და რომ ის ამ „ცეცხლის და მახვილის“ რკალიდან თავს ველარ დააღწევს: „ნიურენბერგი“ მონაგონი იქნება.

აი, ამ საშინელ, განუკითხავ სამსჯავროს, ამ „მეორეთ მოსვლის“ რისხვას ის აშკარად ხედავს და მას ომი არ უნდა. მაგრამ მისი უბედურება ის არის, რომ ომს უნდა ის: ომმა უნდა შეჭამოს ომისაგან წარმოშობილი საშინელი

თავისუფალ ყახაზების წარმომადგენელი ვ. გლასკოვი უფრო ვრცლად შეეხო რუსული იმპერიალიზმის მუხანათობას და განაცხადა: რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლაში ბუნებრივი მოკავშირენი არიან ერთიმეორის ყველა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები და თავისუფლებისათვის მებრძოლი მთელი სამყარო, მაგრამ საბჭოთა კავშირის არა რუს ერებს მეტი გამოცდილება გვაქვს, უკეთ ვიცნობთ რუსულ ბუნებას და უკეთ ვიცით, რომ ერთერთის განთავისუფლება შეუძლებელია მეორის დაუხმარებლად, ამიტომ ჩვენ ერთ მთლიანობას წარმოვადგენთ და გულწრფელად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის 45 წლისთავს და გისურვებთ სულ მალე მშობლიურ მიწა-წყალზე გედღესასწაულოთ ეს ბრწყინვალე ეროვნული თარიღიო.

თავისუფალ ალბანიის წარმომადგენელმა ბ-მა მიხეილ დებრამ აღნიშნა, რომ ქართველი ერის მრავალათასოვან სულისკვეთებას და თავისუფლებისადმი ლტოლვას ვერც დღევანდელი რუსეთის მტარვალები შესცვლიან და საქართველო კვლავ აღსდგება თავისუფალი და დამოუკიდებელიო.

საბჭოთა კავშირის არა რუს ერების გაერთიანების კომიტეტის და უკრაინული კონგრესის სახელით ბ-ნ ვოლტერ იარემამ მიულოცა ქართველებს დამოუკიდებლობის 45 წლისთავი და ღრმა რწმენა გამოსთქვა, რომ ყველა დაპყრობილ ერებთან ერთად საქართველოც კვლავ გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელიო. ბ-მა იარემამ ვრცელი მიმოხილვა გააკეთა დასავლეთის და კერძოთ შ. შ. რუსეთის მიმართ წარმოებული დიპლომატიის და ვრცლად შეეხო ე. წ. „მშვიდობიან თანაარსებობის“ პოლიტიკას, რომელიც სიმანდვილეში მოსკოვისათვის არც კი არსებობს და დასავლეთის ეს „გათამაშება“ მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის წისქვილზე წყლის დასხმაა. ბ-მა იარემამ მრავალი მაგალითი მოიყვანა, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთისათვის „სიტყვა სხვაა და საქმე სხვა“. საბჭოელებს „თანაარსებობის“ ძლიერ პროპაგანდის პერიოდში, არც ერთ მომენტში არ შეუწყვეტიათ ძირგამომთხრელი მუშაობა და დასძინა: რუსეთისათვის შეერთებული შტატების წინააღმდეგ წარმოებული დივერსიული ხასიათის ბრძოლას დიდი ინიშვნელობა აქვს, რადგან ამ გზით წარმატებებიც საგრძნობლად აქვთ, ამიტომ კრემლი ამ გზას არჩევს ვიდრე ახდილ ბრძოლას, სადაც რუსეთი ყველაფერს დაკარგავს და რასაც თან მოჰყვება დაპყრობილ ერთა განთავისუფლებაო.

ბ-ნ ილია გოლდმანმა შეაქო ქართული ერთსულოვნება და ეროვნული გასაჭირის მხნედ ატანის უნარი. იშვიათია ერი, რომელსაც იმდენი დამპყრობელი ენახოს, რამდენიც საქართველოს და საბოლოდ მაინც გამარჯვებული გამოსულიყოო. ბ-ნ გოლდმანმა მხურვალე სიტყვებით აღნიშნა ქართული რაინდული ბუნება და დასძინა: 1917 წელში, როდესაც რუსეთის იმპერია დაირღვა და საქართველოს კვლავ მიეცა შესაძლებლობა თავისი ეროვნულ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა აღადგინა, მან კვლავ გამოიჩინა თავისი ტრადიციული შეწყნარების უნარი და თვისება. დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ეროვნების წარმომადგენლები, და მათში რუსებიც, ქართველებთან თანაბარის უფლებებით სარგებლობდნენო. აქ ორატორი შესდგა... ნელად სთქვა „აღარ შემიძლიაო“... ჩაიკეცა და გულის შეტევით გარდაიცვალა...

დასასრულს ქართულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ ალ. ჩხენკელმა. მან თაყვანისცემით მოიგონა საქართველოს დამოუკიდებლობის ფუძემდებლები, მისთვის აღსრულებულ მამულიშვილთა ღვაწლი და დამსახურება ჩვენი სამშობლოს წინაშე და აღნიშნა, რომ საქართველომ ყველა მტერი მოინელა და ყველასთან დაპირდაპირებული გამარჯვებული გამოვიდა, რადგან ჩვენმა წინაპრებმა „დროის შესაფერი ხმალიც იცოდნენ და ფარიც“. რადგან ჩვენი წინაპრები ეროვნული განსაცდელის დროს მთელი საქართველო „ვით ერთი კაცი“ ერთიანდებოდა და შემოსეულ მტერს გაერთიანებული უტეხი ნებისყოფით ებრძოდა მას. საჭიროა ჩვენც გავხდეთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ღირსეული მემკვიდრენი; ჩვენც ჩავითქვათ ალთქმა „შმაგური“, ჩვენც უნდა მივეძღვნათ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს უანგაროთ და დაუზოგველად. დღევანდელი დამპყრობელი ყველაზედ უფრო ველური და ბარბაროსია თავისი ბუნებით და შინაარსით: რუსეთი ამ ჟამად ჩვენ სამშობლოში ახალი ფორმის გენოსიდს აწარმოებს, რომლის შედეგათ ქართველობა საკუთარ მიწა-წყალზე უმცირესობათ უნდა გადაიქცეს. ამას საქართველოშიც უსათუოდ გრძნობენ და განიცდიან, მაგრამ მონობის არტახებში შეკრული ქართველი ერი იძულებულია მიჰყვეს დენას. თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველების მოვალეობაა ეს რუსული ბარბარიზმი ვამხილოთ და ჩვენ სამშობლოს უკეთესი მომავალი მოუმზადოთ. ამის გარეშე ჩვენ ვერ დავიმსახურებთ ქართველი მამულიშვილის საპატიო სახელს.

დასასრულს ბ-ნ თ. ბაგრატიონმა კრებას წაუკითხა მილოცვის წერილები და დეპეშები მიღებული უცხოეთში მცხოვრებ ქართველებისგან, უცხო ქვეყნების ორგანიზაციებისგან და შეერთებულ შტატების სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, სენატორებისგან და კონგრესმენებისგან.

შემდეგ კრების თავმჯდომარემ ულრმესი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, რომლებიც მიიწვია მეორე დარბაზში, რათა ქართველებს ტრადიციული მასპინძლობა გამოეჩინათ.

ალ. ჩხენკელი.

ქართული პროპაგანდის საკითხისა თვის.

(სადისკუსიო მოსაზრებები დოკ. გ. ნაკაშიძეს ორი გამოსვლის გამო).

წერილი მესამე.

ჩემი კეთილის მსურველებისაგან რამოდენიმე წერილი მივიღე ამ გაზეთის წინა ნომრებში ამავე სათაურით გამოქვეყნებულ წერილების გამო.

უმთავრესად სამი მოსაზრებაა გამოთქმული: 1. არა ღირდა ასე გაგრძელება. საკმარისი იყო ფაქტიური შენიშვნებით დაკმაყოფილება, 2. მიწუნებენ „დელიკატურ“ ტონს, ვერ გაიგებს და ეროვნული პოზიციების ხარჯზე კომპრომისი არავის წინაშე არ შეიძლება და 3. გ. ნაკაშიძე ერთი რომ იყოს, რომელიც ასე „დარდიმანდულად“ სწყვეტავს ქართულ საკითხებს, კიდევ გაუძლებდით... სამწუხაროდ ჩვენს ემიგრაციას ჯერ კიდევ მრავლადა ჰყავს გ. ნაკაშიძეებიო...

მკითხველი უეჭველად დამეთანხმება, რომ რამდენათაც ერთს მრავალი ჰგავს და მრავალს ერთი, იმდენათ მძაფრია ტიპი და კალმის წვერისათვის მიმზიდველი და საინტერესო.

რაც შეეხება „დელიკატურ“ ტონს, ან მხოლოდ „ფაქტიური შენიშვნებით დაკმაყოფილებას“, სამართლიანი იქნებოდა, რომ ჩვენ ბ-ნი გ. ნაკაშიძეს პიროვნება გვქონდეს მხედველობაში და არა მისი პოზიცია, რომლითაც „ის ბევრსა ჰგავს და ბევრი მას“.

ჩემს კეთილისმსურველებს მხედველობიდან გამორჩენიათ მთავარი, რაც პირველ წერილშივე ხაზგასმით აღვნიშნე: „ორგანიზაციულობისათვის ჩვენ გადამწყვეტ მნიშნელობას ვანიჭებთ მთავარ საკითხებში მოქმედების შეთანხმებას, რომლის შემდეგაც ყოველი პოლიტიკური ორგანიზაცია, თუ ცალკეული ქართველი საერთოდ აღიარებული მიმართულებით იმოქმედებს“. ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ დავინახეთ საჭიროთ პროპაგანდის საკითხისათვის ეს წერილები მიგვეძღვნა და გზა და გზა ჩვენი აზრიც გამოგვეთქვა თუ როგორ წარმოგვიდგენია ეროვნული პროპაგანდის საფუძვლები. ეს ერთგვარი ცდაც იყო, ეგებ დაინტერესებულმა ქართველებმა გამოთქვან თავიანთი აზრიც და შეიძლება ამ გზით მართლა მივაღწიოთ საერთო პლატფორმის დამუშავებას.

სწორედ ესა გვქონდა მხედველობაში, როცა პირველ წერილში ვწერდით: „ჩვენ გვინდა პატივცემულ გ. ნაკაშიძეს ორი გამოსვლის განზოგადოება მოვახდინოთ: საკითხი საჯაროთ დავაყენოთ თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პროპაგანდა. საქმის სიყვარულით, პიროვნების დანდობით და პატივისცემით გავხსნათ მეგობრული პოლემიკა—ეგებ სასურველ შედეგს მივაღწიოთ და პროპაგანდის საერთო ხაზი და მიმართულება დავამუშაოთ“.

ბ-ნ ნაკაშიძეს ჩვენ ეს განზრახვა წინასწარ გაუზიარეთ, რითაც აღფრთოვანებული დარჩა თუმცა... გალაღებული პროფესორისათვის მიუღებელი აღმოჩნდა „დელიკატური ტონით“ მსჯელობა და მან „ქუჩურ-მიტინგური“ დემაგოგიით გვიპასუხა... ეს მისი „გემოვნების“ საკითხია, ჩვენ კი მას „ქუჩაში“ არ გავყვებით და ერჩებით ძველ, „დელიკატურ“ ტონზე. ხოლო თუ ბ-ნი გ. ნაკაშიძე მოისურვებს თავისი პოზიციის დაცვას, ან ჩვენსაში შესწორების შეტანას, სიამოვნებით დაეთმობა წინამდებარე გაზეთის ფურცლები.

რუსეთის მიერ საქართველოს მიტაცებას და მის ორ რუსულ გუბერნიათ გამოცხადებას გ. ნაკაშიძეს აზრით, საქართველომ თეკლე და ქეთევან ბატონიშვილების „ლირიკით“ და ნ. ბარათაშვილის,—ამ „საქართველოს ბაირონის„ ლექსებით უპასუხა, „რომელიც მწუხარებითა და უიმედობით იყო გამსჭვალული“...

მაგრამ „ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვათა...“ გვერდით გამოჩენილან „ახალგაზრდა მწერლები და პოეტები—ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლაძე და სხვანი. მათ უარყვეს პოეზიაში დაუსრულებელი საყვედურები და ცრემლები:

„მოვიკლად წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“-ო.

მათი ლოზუნგი იყო „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო“ და ამას შესწირეს თავიანთი ენერგია და ნიჭიო. მათ ათასობით გაუჩნდათ მიმდევრები და თავიანთი მოქმედებით გაწმინდეს ქართველ ხალხში ყოველი სახის პარტიკულიარიზმი, სოციალური, რელიგიური თუ სხვა განსხვავებებიო“.

თუ თეკლე და ქეთევან ბატონიშვილებიდან ბარათაშვილამდე რა ქარიშხალმა გადაუარა ჩვენს ქვეყანას, ან ნ. ბარათაშვილიდან ილია-აკაკი-ნიკოლაძემდე რა ხარვეზი იყო და ეს თაობები ერთი მეორეს არ ედგმის ეს მკითხველმა ჩვენს ახალ მკვლევარ-მეცნიერს შეუნდოს... შეუნდოს ის დარდიმანდობაც, თუ „უკრაინიან კვორტელის“ მკითხველი იფიქრებს, თითქოს ზემო მოყვანილი ლექსი, ან ლოზუნგი, უავტოროთ, კოლექტიურად თქმული იყოს...

ბ-ნ გ. ნაკაშიძეს თეკლე და ქეთევან ბატონიშვილებიდან 90-ან წლებამდე მოვლენები ისე წამოუსხავს მწვადივით, თითქოს ეს ერთი მეორისაგან არის წარმომდინარე და მკითხველს შთაბეჭდილება რჩება ილიას, აკაკის და ნიკოლაძეს იმდენათ აუღვიძებიათ ქართველი ხალხი, რომ „როდესაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს რუსეთში და კავკასიაში რადიკალური იდეა გავრცელდა, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა შეუერთდა სოციალისტურ პარტიებსო“.

ამ დებულების განსამტკიცებლად გ. ნაკაშიძე აცხადებს: „1905 წ. შემოღებულ იქმნა სახელმწიფო სათათბირო. ქართველი წარმომადგენლები ყოველთვის იყვნენ დუმის სოციალსტური ჯგუფის მეთაურები და ქართველები ჩხეიძე, გეგეჭკორი, წერეთელი, ჩხენკელი და სხვანი 1917 წ. მარტის რუსეთის დიდი რევოლუციის მეთაურები იყვნენო“. ხოლო „1919 წელს საქართველოს „საპარლამენტო არჩევნებში 85% წარმომადგენლებისა იყვნენ სოციალისტებიო.

ცხადია, ამ მოვლენების უკომენტაროთ წარდგენა, რომ „დუმაშიც“ და საპარლამენტო არჩევნებშიც ქართველი ხალხის 85% სოციალისტებს აძლევდნენ ხმას, აქედან გამომდინარე დასკვნებიც ლოღიკურია, ქართველ ხალხს უპოვია თავისი გამაერთიანებელი პარტია და იდეოლოგია და ეს სოციალისტურ-მარქსისტული პარტია ყოფილა. გ. ნაკაშიძეს საზოგადოთ სწამს, თუ დავამტკიცებთ, რომ ჩვენი ეროვნული მთავრობის მესვეურები რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მეთაურები და სულისჩამდგმელები იყვნენ; „მსოფლიოში ორი დიდი სოციალსტი იყო: ლენინი და ჟორდანია

ურჩხული.

მოსკოვმა ან უნდა ნებით დაყაროს იარაღი, დალეწოს მის მიერ ნაგები ქიმერული კოშკები, დაწვას „კომუნიზმის სამოთხე“, დაამსხვრიოს კოლექტივიზაციის მონობის ბორკილი და გახსნას თავისუფლების კარები, ან ჩქარა „ცხელი ომის“ ტალღებში უნდა გადაეშვას. სხვა გზა მას აღარა აქვს, აღარც მისი „ამერიკის გადასწრებისა“ და მუქარის სჯერა ვისმეს. უკვე ყველა შეეჩვია და აღარავისა სჯერა ამ „ვამპუკების“ ბაქი-ბუქისა გაუგონარ ტემპებზე, უდიდეს წინსვლა-მიღწევებზე. სულ ტყუილია მალინოვსკების ტრაბახი, რომ წითელი არმია მთელ ამერიკას და ევროპას ატომური იარაღით ორ საათში ნაცარ-ტუტად აქცევს და მხოლოდ ისენი იქნებიან შეწყალებულნი, ვინც დღეს კრემლის ერთგულებას იჩენს.

ამ ბაქი-ბუქის კორიანტელის უკან დღეს აშკარად სჩანს, თუ რა საშინელ იჭვებს და შიშს შეუპყრია მოსკოვი, რომელიც ხედავს მის გამანადგურებელ ძალებს შინ და გარეთ... ძალებს, რომლებმაც ნამდვილი მტერი ნიღაბ ქვეშ კარგად დაინახეს და მისი გულის გასაგმირად მახვილი უკვე მიმართეს.

დღეს ისტერიულ პანიკის დასაფარავად აღარც კრემლის „პაციფიზმის და თანაარსებობის“ ნიღაბი გამოდგა. „ზავის“ (ე. ი. მხოლოდ თავის თავის) „გადასარჩენად“ ეხლა ის ყოველ დამცირებას იტანს, ყოველ დათმობაზე და უკან დახევაზე ფსიქოლოგიურად და „პარტიულად“ მზათ არის წავიდეს.

ყველაფერს აიტანს, ოღონდ ის საშინელი ფინალი, ის კატასტროფა, რასაც ომი უმზადებს, რაიმე საშუალებით აიცდინოს.

ეხლა საჭიროა მხოლოდ ამ მომენტის მაქსიმალურად გამოყენება და ნამდვილი, **ცხელი ომის შიშით რუსეთის დაჩოქება** და არა დაუსრულებელი „გამოძიებანი“, „თანაარსებობის“ ზღაპრების აწონ-დაწონა და ახალი, გრძელი და დამღუპველი პაუზები. „ბლეფის გზები“ რუსეთს საბოლოოდ უნდა მოეჭრას. დღეს მაინც მივხვდეთ, რომ ომის ცეცხლში რუსეთი ყველაფერს ჰკარგავს და მას განუდგებიან არა მხოლოდ დაპყრობილნი, არამედ **საკუთარი „ძმები და მოკავშირენი“**, რომლებიც უკვე გულის ძგერით ელოდებიან ამ „დიდ ამბების“ წამოწყებას... ყველაზე ადრე ეს იქნება 750 მილიონიანი, მშიერი ჩინეთი, ეშმაკურის ღიმილით და საოცარი მოთმინებით რომ ელის „ცხელ პერიოდს“ და სისხლის გაღებას. დამშეულ, განაწამებ ურდოების „კომუნიზმის სამოთხეში“ შესაყვანად. მან სავარაუდოთ უკვე აღნიშნა და შემოხაზა ჩინეთის კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილებები. პეკინმა „მოძმე“ რუსეთიდან უკვე მოითხოვა კაპიტალისტურ-ცარისტულ რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება...

დღეს რადიოში და პრესაში აშკარად გამოსჭვივის ნამდვილი მიზეზი ვითომდა იდეოლოგიურ უთანხმოებათა. სტალინიზმის დროშით ცალკე დარაზმვისა და შეტევის დაწყებისა..

პრესაში ამას ნიღაბი უკვე ააცალა პეკინმა და აშკარად დააყენა კითხვა მეფის რუსეთის მიერ, დასუსტებულ და დაჩოქებულ ძველ ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებათა რევიზიის და მათი გაუქმების. ამ ძალით თავზე მოხვეულ ხელშეკრულებით (1858წ. 1860წ. 1881წ. და სხ.) ცარისტულმა რუსეთმა მუქარის ქვეშ მისტაცა ჩინეთს მისი ტერიტორიის საუკეთესო ნაწილი, ურომლისოდ 750 მილიონიან ერს გასაქანი არა აქვს და პირდაპირ იღრჩობა.

ამ მიტაცებულ ადგილებში 1600 კილომეტრზე, პაციფიკის ნაპირებზე და აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის ინდუსტრიალიზებურ რაიონებში, როგორიცაა მაგ. ხაბაროვსკი, კომსომოლსკი და სხ., და ამურის ნაპირებზეც მოთავსებულია დღეს რუსეთის წარმოებათა მთავარი არტერია, განლაგებულია კომბინატები, რაც საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალის ხერხემალია.

მშიერი „ძმა“ ჩინეთი, სწორედ აქეთკენ უმიზნებს ვერაგულ დარტყმას. პეკინის ძველ ანგარიშთა გასასწორებლად „როცა ამისი დრო დადგებაო“...

მაო ცე დუნი, შენიღბულის ღიმილით მოითხოვს ამ ძველ უსამართლობის გამოსწორებას „მოძმე“ რუსეთისაგან, რომელიც მას უკიჟინებს, რომ დღემდე ფორმოზა, მაკაო და ჰონ კონგი ვერ გაანთავისუფლა... ჯერ ჩვენ, ძმებმა გავასწოროთ ანგარიშებიო. ამ განცხადებამ რუსეთი საბოლოოდ გამოაფხიზლა და ხრუშჩოვმა შავი კბილები გამოაჩინა. იმ ტონით, რომლითაც კაპიტალისტურ ქვეყნებს მუდამ ემუქრებოდა, მან „ძმას“ ლაკონიურად განუცხადა: „ის ტერიტორიები, რაიც ჩვენს რუკაზე შემოხაზულია, ყოველგვარ დისკუსიის გარეშე იმყოფებიანო“. (იხ. არგ. ტაგებლ“ 3.23, წერილი ნიუ დელიდან: „ემზადება პეკინი ციმბირის დასარტყამად?“)

კრემლის ეს აღშფოთება ველარ ჰფარავს მის იდუმალ შიშს, რომ თუ პეკინის მშიერი მილიონები დაიძრა, მისი ტალღები მთელ ციმბირს წალეკენ.

აბა ამ ხელსაყრელ მომენტს, რომელი „სატელიტი“, რომელი დაპყრობილი ერი გაუშვებს?

აი, სად არიან წითელი მთვითმპყრობელობის, კრემლის იმპერიალიზმის სუსტი და მტკივნეული ადგილები! აი სად არის აქილესის ტერფი რუსეთისა!

რაც უფრო ადრე მიხვდება ამას თვით რუსის ხალხი და კრემლის ბატონობას ბოლოს მოუღებს, მით უფრო ადრე და ნაკლების მსხვერპლით შესძლებს ის თავის და სხვების გადარჩენას.

საჭიროა დაუყონებლივი და ფხიზელი მოქმედება. ინერციებით მეტი სვლა ყველაზე ადრე თვით რუსის ხალხს უმზადებს უდიდეს საფრთხეს..

ასე სჩანან ჩვენი ნამდვილი და ევენტუალური მოკავშირენი და ამ იმედებით გადავდივართ სანუკვარ 26 მაისის ორმოცდა მეექვსე წელში.

ჩვენი რწმენა ურყევია: ჯალათის დღეები დათვლილია და საქართველოს თავისუფლების მზე გამოაბრწყინებს.

26 მაისი სდგას „შემოსილი ნათელით“.

კახაბერი.

ხოლო ლენინმა უღალატა რუსულ რევოლუციას და ჟორდანია მისი ერთგული დარჩა და ეს იყო მათი განშორების მიზეზი“ ამით საქართველო და ქართული პროპაგანდა ბევრს მოიგებს დასავლეთში. ეს მისი რწმენის საკითხია და ამ სიბრტყეზე კამათი ძნელია... ჩვენის აზრით კი ჩვენი ეროვნული პროპაგანდის საფუძველი უნდა იყოს ჩვენი სახელოვანი ისტორია და უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და აქედან უნდა განდევნილ იქმნას ყოველი მომენტი, რომელიც „რევოლუციონურმა“ ფსიქოზმა წარმოშვა, როცა „სოციალიზმი“ რუსული რევოლუციის პირველ წლებში თუ მის წინ გაგებული იყო, როგორც ნიღილიზმი და საქართველოს ისტორია „მუშათა მოძრაობით“ უნდა დაეწყოთ. აგრეთვე შეუძლებელია ქართული ეროვნული პროპაგანდა დაეყრდნოს თვით ქართული ისტორიის გასული საუკუნის, ან ამ საუკუნის დასაწყისის ცნობებს. ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ქართულმა ისტორიული კვლევითი მეცნირებამ უდიდესი „რევოლუციური“ ევოლუცია განიცადა. ვინც ამ ახალ არქეოლოგიური გათხრების და მისი შედეგების კურსში არ არის იმან თავი უნდა შეიკაოს უცხო პრესაში გამოსვლებისგან... ვინც ჩვენი სახელოვანი მეცნირების ,უძნელეს და უმძიმეს პირობებში გაწეულ ახალ შრომებს გაეცნობა, მას აღარც ის დარდიმანდული განცხადება დასჭირდება, რომ „ჩვენი ანბანი გამოგონილ იქმნა მეხუთე საუკუნეში, ან ცოტა ადრეო“ და არც „რუსული რევოლუციური მოძრაობის“ დამოწმება ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის „უფლებრიობის დასამტკიცებლად.

ისიც აღსანიშნავია, რომ ქართველი ერის „მარქსისტულ“ იდეოლოგიაზე გაერთიანების პროპაგანდა, როცა დასავლეთის დემოკრატიული ბლოკის და ბოლშევიკურ-მარქსისტული დაჯახის კომბინაციაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის რუსული მონობისგან განთავისუფლება,—მიუღებლად მიგვაჩნია. ამავე მოსაზრებით მიუღებლათ მიგვაჩნია ჩვენი ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის და მისი კოლეგების „რუსულ რევოლუციონური მოძრაოის ლიდერებათ“ გამოცხადება, მით უმეტეს, რომ ეს ისტორიულ ფაქტებს არ შეეფერება.

თვით ნ. ჟორდანიას განცხადებით „რუსული სოციალიზმი ნამდვილი უტოპიური და რეაქციონური მიმდინარეობაა და თუ ის მართლა განხორციელდა სადმე, დავექანებით უკან ბარბაროსობისაკენ“. (იხ. „ჩემი წარსული“ გვ. 25) ამნაირადო,—განაგრძობს ნ. ჟორდანია,—ტრადიციული მარქსისტული სოციალიზმის შეხეთქა მოხდა თფილისში, თებერვლის კონფერენციაზე (1893წ.). მან მიიღო ნაციონალური ფორმაო“ (გვ. 32) „ჩამოყალიბდა ქართული მენშევიზმი, მუშური და რევოლუციური, განსხვავებული რუსულისაგან...“ „ასე გაიყარნენ გზები საქართველოს და რუსეთის ს. დ. შორის, ხოლო ამავე დროს ვიყავით ერთ პარტიაშიო“ (გვ. 67)

მსგავსი ამონაწერების მოყვანა მრავლათ შეიძლება, მაგრამ ამითაც ნათელია, რომ კეთილი სურვილებით ადვილათ შეიძლება დამტკიცდეს, საგარეო პოლიტიკაში მაინც, ნ. ჟორდანიას „რუსული რადიკალური იდეებისაგან“ გამიჯვნა.

მართალია ნ. ჟორდანია აცხადებს, რომ დუმის არჩევნებში „საქართველოში ყველგან ჩვენი კანდიდატები გავიდნენო“ (გვ. 73), მაგრამ დაკვირვებული მკითხველისათვის ამავე ნაშრომიდან ნათელია, რომ საქმე გვაქვს არა „ქართველი ხალხის უმრავლესობის სოციალისტურ პარტიაში“ თავმოყრასთან, როგორც ამას გ. ნაკაშიძე აცნობს უცხო მკითხველს, არამედ სხვა, უცხო და უცნაურ მოვლენასთან. მაგ. ნ. ჟორდანიას ცნობით „თფილისში და გუბერნიაში უმრავლესობა ამომრჩევლთა გავიდა არა სოც-დემოკრატები, რასაკვირველია უმთავრესად ლიბერალები და დემოკრატები. ამათ წამოაყენეს ლ. ანდრონიკაშვილი, ჩვენებმა მას დაუპირდაპირეს კარლო ჩხეიძე. საკითხს სწყვეტდნენ სომხები, რომელთაც მეთაურობდა ალ. ხატისოვი, მე გამაგზავნეს მასთან მოსალაპარაკებლად...“ (გვ. 82) შედეგი... სომხებში ნაციონალურმა საკითხმა ითამაშა გადამჭრელი როლიო, აცხადებს ნ. ჟორდანია, ანდრონიკაშვილი დასახეს ქართველ ნაციონალისტად და როგორც ამნაირი,-სომხების მოწინაალმდეგეთო. როგორც ქართული სოციალიზმის მამამთავარის განცხადებიდან ირკვევა, გ. ნაკაშიძე არა მარტო ჩვენი ეროვნული პროპაგანდისთვის არა სასურველ ინფორმაციას, არამედ არა სწორსაც აწვდის უცხო მკითხველს. ირკვევა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების არჩევნებში გასამარჯვებლად საჭირო ყოფილა საქართველოს არა ქართველი მოსახლეობის მხარის დაჭერა და აქ ქართველი ხალხი არაფერ შუაში ყოფილა. ბუნებრივია, სომხების და საზოგადოთ საქართველოს არა ქართული მოსახლეობის ეს პოზიცია, რომლებიც მოელოდნენ (და ეს უფრო გვიან დამტკიცდა კიდეც 1918 დამლევს!), რომ სოციალიზმის მიერ აღიარებული „რეალური მოსახლეობის პრინციპის“ თანახმად სომხები მიიღებდნენ ქართული ტერიტორიის იმ ნაწილებს, სადაც რუსეთმა ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხობა ჩაასახლა. ამგვარ სომეხ-შოვინისტურ გრძნობებზე დაყრდნობით გამარჯვებული პარტიის „ქართველი ხალხის უმრავლესობათ გამოცხადება არც ისტორიულ ჭეშმარიტებას შეიცავს და არც უცხო მკითხველის თვალში აგვამაღლებს.

ამ წესით არჩეული ქართველი ს. დ. რუსული დუმის „სოციალისტური ჯგუფის“ ლიდერები მართლაც იყვნენ, მაგრამ ამას ხომ მეტად ადვილი ახსნა აქვს! მთელ რუსეთის იმპერიაში ქართველი სოც-დემოკრატების მეტი დუმის არჩევნებში მონაწილეობას არავინ ღებულობდა... „რუსეთის დიდი რევოლუციის ლიდერობა“ კი ყურითმოთრეული ამბავია. „რევოლუცია იყო სრულიად მოულოდნელი ყველა პარტიისათვის“... „ხოლო ჩვენები განაგრძობდნენ ლოიალურ ოპოზიციას და მისაღებ კრიტიკას“. (ჩემი წარსული“ გვ.106) „რევოლუცია გადასწყვიტა ჯარმა, პეტერბურგის გარნიზონის გამოსვლამ მორჩილებიდან... მართალია ის მივიღეთ „ფოშტით“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მაგრამ ასეთივე „ფოშტით“ მიიღო ის მთელმა იმპერიამ და არა მარტო საქართველომ“ (იქვე გვ. 107). აქედან ხცადია, რომ „ფოშტით“ მიღებული რევოლუციის ლიდერები ვერ იქნებოდნენ ვერც ჩვენი ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე და ვერც მისი კოლეგები და გ. ნაკაშიძე უცხო მკითხველს აწვდის გაყალბებულ ინფორმაციას და ისიც ჩვენი ეროვნული პროპაგანდისათვის შეუფერებელს.

საქართველო გააერთიანა, არა რადიკალურმა იდეებმა, როგმრც ამას ბ-ნი გ. ნაკაშიძე აცხადებს, და არა 85 პროც., არამედ ქართველი ერი გაერთიანებული იყო სრული ასი პრ. და მისი გამაერთიანებელი ყოი ქართული ნაციონალიზმი, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, შეუძლებელია ქართული პროპაგანდიდან გამორიცხული იყოს, ის მაღალ მამულიშვილური აქტები, რომლებიც წინ უსწრებდნენ და რომლებიც საფუძვლათ დაედო ქართველი ერის და სახელმწიფოს ორგანიულ გაერთიანებას: ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება, ქართული უნივერსიტეტის დაარსება და ქართველ თავა-აზნაურების მიერ მთელი კოლექტიური ქონების სახელმწიფოსათვის შეწირვა. ნუ თუ ამ სანიმუშო პატრიოტულ აქტებს კიდევა სჭირდება „რუსულ რევოლიციური მოძრაობის და რუსეთის დიდი რევოლუციის ლიდერობა“, რათა ქართველობამ ეროვნული თვითმყოფობის უფლება დაიმკვიდროს?

თვით ნ. ჟორდანია აღფრთოვანებულია ქართველი ხალხის ერთობით „რაკი ყველა ნაბიჯი იზომებოდა და იჲლინთებოდა ნაციონალური მომენტით, მას დაემორჩილა ყველა კლასი და ყველა წოდებაო“.

როდესაც ეროვნულ-დემოკრატების ერთ მნიშვნელოვან ლიდერთაგან—გ. გვაზავას დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტი წარუდგენია ნ. ჟორდანიასათვის „გავოცდიო, სწერს, სწორ ნაციონალურ დებულებათა გვერდით წარმოდგენილი იყო სოციალური რეფორმების დებულებანიო...“ (იქვე გვ. 129).

აქვე უნდა აღვნიშნოდ, რომ გ. ნაკაშიძეს და მისი პოზიციების დამცველებს მრავლად შეუძლიანთ წარმოგვიდგინონ ნ. ჟორდანიას ნაწერებიდან სრულიად საწინააღმდეგო დებულებები, რადგან, როგორც ბ-ნ თ. ჩილაია მოხდენილად აფორმებს „ნ. ჟორდანიას ნაწერები ერთ კათეგორიაში არ მოთავსდება“. მაგრამ ჩვენ ვაყენებთ საკითხს: რომელი ჟორდანიას გამოყენებაა ქართული ეროვნული პროპაგანდისათვის სასურველი და მისაღები? ის რომელიც ამტკიცებს, რომ რუსული სოციალიზმის გამარჯვება ბარბაროსობაში გადავარდნა იქნებაო და ხელთ ეპყრა ჩვენი ეროვნულ დამოუკიდებლობის დროშა, თუ ის, რომელსაც ჩვენი მოპირდაპირეები უკეთებენ პროპაგანდას და არ არსებულ „რუსეთის დიდი რევოლუციის“ ბელადათ აცხადებენ?

მ. სინდიკელი.

„არა მკითხე მოამბენი...“

ამ სათაურით მოთავსებულია წერილი ალ ბერლინში გამომავალ ჩეკის საპროპაგანდო გაზეთ „სამშობლოს ხმა“-ს აპრილის ნომერში.

როგორც ამ რუსულ პოლიციური ორგანოს რედაქცია აცხადებს: „სამშობლოში დაბრუნებისა და თანამემამულეებთან კულტურული კავშირის განვითარების კომიტეტმა მიიღო წერილი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულისაგან, რომლის ვინაობას მისივე თხოვნით არ ვამხელთო“.

„ამ წერილში ქართველი პატრიოტი გვატყობინებს—განაგრძობს რედაქცია, რომ საუბედუროთ საზღვარ გარეთ დარჩა პატარა ჯგუფი ქართველებისა, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ჩირქს სცხებენ ჩვენს თანამემამულეებს, სხვადასხვა გარმოების გამო დარჩენილთ მანდ—უცხოეთში.

„აღნიშნულ წერილს ჰქონდა დართული 1960 წ. 11 მაისის მიმართვის ასლი, რომელიც თურმე გაუგზავნა შეერთებული შტატების, საფრანგეთის და ინგლისის სახელმწიფო მმართველებს. მიმართვას ხელს აწერენ: გ. კვინიტაძე, ი. გობეჩია, ე. პატარიძე, ლ. ზურაბიშვილი და ვ. ციციშვილი.

„ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწვია ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები და მივვეცა გასაცნობად ზემოთ აღნიშნული მიმართვის ასლი.

„გაზეთ „სამშობლოს ხმის“ დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ამ ამხანაგების წერილს, რომლის შინაარსი, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება ყველა ჩვენი თანამემამულისათვის., რომლებიც უცხოეთში იმყოფებიან“-ო.

მართლაც, ამას მოსდევს გაზეთის ორ გვერდზე გადაჭიმული წერილი, რომელსაც ხელს აწერენ მართლაც ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი ადამიანები.. დაწყებული სასიქადულო მეცნიერი ნ. მუსხელიშვილით და დასრულებული „მახარაძელი მეჩაიეთი“.

ჩვენ არ შეუდგებით იმის ძიებას, თუ რამდენნათ მართალია „სამშობლოს ხმის“ რედაქცია, რომ ეს წერილი უცხოეთიდან მიიღო. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს. გამოქვეყნებული დოკუმენტი საიდუმლო არ იყო და ჩეკას შეეძლო მას სხვა გზითაც გასცნობოდა. ისიც არის მოსალოდნელი, რომ ჩეკის რომელიმე საიდუმლო აგენტმა მართლა გაუგზავნა წერილი ზემო აღნიშნულ რედაქციას, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ესეც აქტივში ჩაგვეთვლებაო...

რუსეთის იმპერიის შემოსავლის ნახევარზე მეტი საჯაშუშო საქმეებს ხმარდება და წინასწარ სავარაუდოა ,რომ არც ქართულ ემიგრაცია იქნება მოკლებული თავის წიაღში სულმდაბალ ნაძირალებს. მით უმეტეს, რომ, როგორც სჩანს, მოსკოვს ქართული ემიგრაცია დიდათ აინტერესებს, და სჩანს, დიდათ აწუხებს.

არც იმის ძიებას შეუდგებით გამოქვეყნებული წერილი შედგენილია მისი ხელისმომწერლების მიერ, თუ საბჭოეთში გაბატონებული წესის თანახმად, ხელისმომწერლებმა, ან სულ არ იციან მისი არსებობა, ან ხოლოდ ხელი მოაწერინეს.

ძნელად დასაჯერებელი კია, რომ ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა, თვით უაღრეს დაპირდაპირებაშიც კი, ასეთი გაანჩხლებული ტონი იხმარონ, ეს მეცნიერულ ბუნებაში არ შედის. არც ის წარმოგვიდგენია, რომ ჩვენმა მეცნიერებმა ისტორიული მოვლენების და დატების გაყალბება იკადრონ, როგორც აქ ადგილი აქვს.

შეიძლება ახალგაზრდებს მართლა სჯერათ „ხაჭაპურიძეს ისტორიები“, მაგრამ ამას ვერ ვიფიქრებთ ხანდაზმულებზე, და კერძოთ იმათზე, რომლებიც თვით მკვლევარ-მეცნიერები არიან და ხნოვანებითაც სამოცდაათიანებში ტრიალებენ.

უპირველეს ყოვლისა წერილი დაწერილია მეტად უხეში, სუფთა ბოლშევიკური ჟარგონით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამის შედგენასთან ჩვენს მეცნიერებს საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეთ. მეცნიერული მეთოდია და საბუთება, დამტკიცება და არა ოპონენტის შეურაცყოფა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ წერილი შედგენილი უნდა იყოს უფრო „მახარაძელი მეჩაიების“ და არა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების მიერ.

მაგრამ გავყვეთ თვით წერილის დებულებებს. „სამშობლოს ხმა“ აღუშფოთებია, რომ „რაღაც ორი ათეული პოლიტიკურად გაკოტრებული, სამშობლოდან გახიზნული ქართველი, რომელთაგან არც ერთი თავის დროზე არა ყოფილა მოღვაწე, ეხლა თურმე წარმოადგენენ „ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ცენტრს საზღვარგარეთ“.

საკვირველია, რომ ამ შემთხვევაში ემიგრაციის რიცხობრივობას იწუნებენ; თითქოს ჩვენს პირობებში ამასა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენის აზრით ამ კუთხიდან შემოტევაც უსუსურობაა, თუ ვინ რას წარმოადგენდა „თავის დროზე“ ვინ როდის დაიბადა და ვინ როდის დაიწყო მოღვაწეობა, ამით ხომ ადამიანს არც აკლდება რამ და არც ემატება! ნუ თუ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ესა საზღვრავს პოზიციის დაცვის უფლებას? თუ ამ წერილის ლოღიკას გავყვებით, მაშინ დღევანდელ საქართველოში აღარავის აღარა აქვს უფლება რუსული (თვითონ საბჭოთას ეძახიან) საოკუპაციო ხელისუფლება დაიცვას, რადგან ქართველი რენეგატებიდან, რომლებიც 1921 წ. რუსის ჯარს შემოუძღვნენ ცოცხალი აღარავინ დარჩა და მათ თვით რუს დამპყრობელმა დააყრევინა თავები. მაგრამ რუსულმა იმპერიალიზმმა შემდგომ თაობებშიც იპოვა თავისი აგენტები და „სამშობლოს ხმა“-ც ხომ ამის მღაღადებელია.

უფრო საკვირველი კი ის არის, რომ გენ. კვინიტაძე, ი. გობეჩია და ელ. პატარიძე თურმე „თავის დროზე არა ყოფილან პოლიტიკური მოღვაწენი“. ხანდაზმულ პოეტ-აკადემიკოსებს უნდა ახსოვდეთ „იღბლიან გენერალზე“ თქმული „შესხმანი“. მაგ. მოგონებათა ერთ ძველ რვეულში ვკითხულობთ:

„სააკაძეს წილ გვყავს კვინიტაძე,
პატარა კახსაც კახეთით ვხედავთ,
აღსდგნენ გმირთ გმირნი უძლევის ძალით
და ჩვენს ბედს უფრო ძლიერათ ვჭედავთ“.

ი. გობეჩია, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი და „თავის დროზე“ მეტად გამოჩენილი მოღვაწე იყო. ე. პატარიძე კი სწორედ იმ ეპოქის სტუდენტია, რომელსაც ამ წერილზე ზოგი მეცნიერი და პოეტ-აკადემიკოსი ეკუთვნიან. ე. პატარიძე თავისი აქტიური ბუნებით და სამშობლოსადმი მიძღვნილობით მეტად ცნობილი იყო და მისი ეპოქის სტუდენტებს, დღეს მეცნიერ-პოეტებს, ხელის მოწერის დროს მაინც უნდა გახსენებოდათ, თუ გარემოებათა წყალობით გადაავიწყდათ! ხოლო თუ უცხოეთში დაბადებული, ან დავაჟკაცებული ქართველი, პირადი კეთილდღეობის ხარჯზე, სამშობლოს უზენაესობის იდეას მიეძღვნა და ქართველი ერის მპყრობელს და მის ჯალათს ებრძვის,—ეს მის სასახელოდ ლაპარაკობს და ყოველი ჭეშმარიტი ქართველი მას ვაშას ეტყვის.

როგორც ვხედავთ „სამშობლოს ხმის“ შემოტევის პირველივე მუხლი ყალბია: არც ისე უცნობნი ყოფილან „1960 წ. 11 მაისის“ დოკუმენტზე ხელის მომწერნი, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს.

„ყველაზე საკვირველი, ყველაზე დიდი უგუნურობა და თავხედობა მაინც ის არის, რომ ეს „პოლიტიკური ცენტრი“ ქართველი ერის სახელით აგზავნის მიმართვასო“. სჩანს “სამშობლოს ხმა“ უფლებრივობის საკითხს გვიყენებს. რუსული იმპერიალიზმის ქართველი პროპაგანდისტების აზრით „პოლიტიკურად გაკოტრებულ, სამშობლოდან გახიზნულ“ ქართველებს უფლება არა აქვთ საქართველოზე ილაპარაკონ.

ესეც ბოლშევიკური ჟარგონია და ამგვარ რამეს ჩვენი სახელოვანი მეცნიერები ვერ იტყოდნენ. საბჭოეთში ყველაფრის თქმა შეიძლება, მხოლოდ გაბატონებულ ტირანს უნდა იცავდეს და მას ემონებოდეს. ამგვარი ურცხვი, მონური ბუნების პროპაგანდისტი ყოველთვის მართალი და გამარჯვებულია.

ჩვენს წინაშე კი მართლა სდგას უფლებრივობის საკითხი. არა რუსულ ბარბაროსული გაგებით, არამედ უფლებრივობა სამართლის გაგებით.

იყო თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო. ქართველმა ხალხმა 1919 წ. თავისუფალი (ამ ტერმინის ფართო და სწორი გაგებით და არა ბოლშევიკურის...) არჩევნები მოახდინა. მთელმა ქართველმა ერმა გამოსთქვა თავისი ურყევი ნებასურვილი, რომ მას სურს იყოს თვითმყოფი, დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1921 წ. თავს დაგვესხა რუსეთი: ძლიერისა და სუსტის ლოღიკამ თავისი გაიტანა და დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო „საბჭოთა კავშირის“ სახით რუსულ იმპერიაში შეათრია.

ქართველმა ერმა ჯერ ტრადიციული აჯანყებებით სცადა თავის განთავისუფლება, შემდეგ კი ილიას გზას დაუბრუნდა და ეროვნული ძირების განმტკიცებით და გაპოიხერებით ცდილობს ეროვნული პიროვნების შემონახვას.

ამ ბრძოლების შედეგია ქართული ემიგრაცია, რომელმაც თან გამოიტანა ეროვნული და მოუკიდებლობის დროშა და იდეა, ე. ი. ის, რაც ქართველმა ერმა ნებაყოფლობით აღიარა და რისთვისაც ზღვა სისხლი დაიღვარა,

ვის სასარგებლოთ ლაპარაკობს ეს გარემოება? ვისა აქვს უფლებ ქართველი ერის სახელით ილაპარაკოს? ვინც ქართველი ერის ნებასურვილით, თავისუფლად გამოთქმულ პოზიციებს იცავს, თუ ვინც უცხო, დამპყრობელ ძალას, ნებით, თუ უნებლიეთ, ემსახურება?

წერილები რედაქციის მიმართ.

„ქართული აზრი“-ს რედაქციას.

ჩვენი სათვისტომოს გამგეობას საჭიროთ მიაჩნია 1962 წ. დეკემბრის 16-ს შემდგარ საზოგადო კრების დადგენილება ფართო საზოგადოებას გააცნოს. ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ „ოქმის ამონაწერს“.

პატივისცემით, სათვისტომოს გამგეობა.

1962 წ. დეკემბრის 16-ს ქართული სათვისტომოს საკუთარ სახლში შესდგა სათვისტომოს საზოგადო კრება. კრება დაიხსნა ნაშუადღევის 3 ს. და 30 წ. დაიხურა საღამოს 6 ს.

დღის წესრიგის ამოწურის შემდეგ სიტყვას თხოულობას ბ-ნი ალ. ამილახვარი, რომელიც აცხადებს: ბატონებო! ყველას მოეხსენება სულ ცოტა წინ ქართულ ემიგრაციაში გავრცელდა ა. სულხანიშვილის ხელის მოწერით დაბეჭდილი წიგნი „ხმა სიმართლისა“ (წითლების მუშაობა ნიუ-იორკის სათვსტომოში(. წიგნი თავის ფორმით არის უხეში და მიუღებელი, შინაარსით კი ყალბი და ცილისმწამებელი. წიგნში შეურაცყოფილია საზოგადოების დიდი უმრავლესობა და კერძოთ სწორედ ის პირები, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე მიძღვნილნი იყვნენ ანტიკომუნიკტურ ბრძოლას და საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ალ. სულხანიშვილი ამ წიგნში ეფარება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ავტორიტეტს, თითქოს ის იყო მისი გულის მესაიდუმლე, მისი მოადგილეც და მისი სიკვდილის შემდეგ ისაკუთრებს მის მემკვიდრეობას.

როგორც ქაქუცასთან დაახლოვებული და მისი საქმიანობის კარგად მცოდნე, საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ა. სულხანიშვილი არასოდეს არა სარგებლობდა ქაქუცას ნდობით და მას არც შეეძლო სცოდნოდა ქაქუცას „საიდულო საქმიანობა და შეხვედრები“. ქაქუცა მას საიდუმლოს არასოდეს გაანდობდა, რადგან ა. სულხანიშვილი მის რაზმში ითვლებოდა ყველაზე უჭკო, გაუნათლებელ კაცად და საშიშოთ მიაჩნდა. ამიტომ ა. სულხანიშვილს ყოველთვის უმალავდნენ საიდუმლოს. ქაქუცას მოადგილე იყო ელიზბარ ვაჩნაძე, რომელსაც სულხანიშვილი მრავალნაირი ცილისწამებით და მდაბალი ინტრიგებით ცდილობდა მისი პრესტიჟის დაცემას და მის დაქვეითებას, რათა მისი ადგილი დაეჭირა. საჭიროა როდისმე ბოროტმოქმედებისათვის ბოროტმოქმედი დაისაჯოს, ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია ა. სულხანიშვილი, როგორცუდიდესი ბოროტ მომქმედი სასტიკად დაისაჯოს, მით უმეტეს, რომ ამ წიგნში შეურაცყოფილია თვით სათვისტომოს გამგეობა მთლიანად.

ბ-ნი ისიდორე გაჟონია აცხადებს, რომ ბ-ნი ამილახვარი სათვისტომოს კრებაზე მას მხოლოდ რამოდენიმეჯერ უნახია და დღეს მისგან ამ საკითხის დაყენებას საზოგადოების არევის მიზანი აქვსო. ამ წიგნში ყველაზე მეტად არის შეურაცყოფილი ბ-ნი მ. სინდიკელი და ის ამ საკითხს არ აყენებს, რაც მის პატიოსნებას ამტკიცებს. ემიგრაციას აქვს პრესა და ამ საკითხის დაყენება პრესაში შეიძლება და იქ გასცენ პასუხი.

ბ-ნ გრ. აბულაძე აცხადებს, რომ წიგნში მოყვანილი ყოველი ბრალდება ყალბია, რადგან, როგორც საფრანგეთში დიდ ხანს მცხოვრები, ეს ამბები შესანიშნავათ ვიცი. აქ არეულია გვარები, პიროვნებები, დატები და მოვლენები. მაგ. გეგელია, რომელიც სულხანიშვილს მთავარ ფიგურათ ჰყავს გამოყვანილი, რომელთანაც ურთიერთობისათვის სულხანიშვილს გამოყვანილი ჰყავს ზოგიერთები წითლების აგენტებათ,—ეს გეგელია იყო თვით სულხანიშვილის უდიდესი მეგობარი. როდესაც ომის შემდეგ გეგელია ახდილათ დადგა ბოლშევიკურ პლატფორმაზე, ბოლშევიკური გაზეთი გამოსცა, მაშინაც არ შეუწყვეტია მასთან მეგობრობა. როდესაც გეგელია გაბოლშევიკებულ ხალხთან ერთად საბჭოეთში დაბრუნდა გამცილებლებ შორის, პარიზის საბჭოთა საელჩოს პირველ მდივანთან, ი. თავაძესთან ერთად ა. სულხანიშვილი იყო. ჩემს ხელთ არის გაბოლშევიკებულ ქართველების მიერ პარიზში გამოცემული იმდროინდელი გაზეთი სადაც ეს ამბავი შავათ თეთრზეა დაწერილი.

ბ-ნ გრ. აბულაძეს სურდა წაეკითხა ეს გაზეთი და პასუხი გაეცა სულხანიშვილის ბრალდებებისთვის, მაგრამ თავმჯდომარე აწყვეტინებს სიტყვას და აცხადებს: ამ წიგნის გარჩევა საჭიროთ არ მიმაჩნიაო.

ბ-ნი ირ. მენთეშაშვილი აცხადებს: ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებდი საჭიროთ დავინახე მიმემართა პარიზში მყოფ ქაქუცას ერთ რაზმელ, ალ. კარგარეთელისათვის, რომელსაც კარგათ ვიცნობ, ვენდობი და ვიცი არ მომატყუილებს. აი რა პასუხი მივიღე მისგან: „1. ყველამ იცის შუშუს (ასე უწოდებენ სულხანიშვილს) არ შეუძლია არაფრის დაწერა. თავის გვარს ძლივს აწერს. როგორ უნდა დაწეროს და ასე ლამაზათ ააწყოს ფრაზები? მაშ ვინმე სხვამ დაუწერა.

2. რაც მაგ წიგნში სწერია ყველაფერი ტყუილია.

3. ეს კაცი არის ბუნებით უჭკუო და თუ რამეს ბოდავს და აკეთებს ეს სხვისი გავლენით. ის, ვინც მაგას სჩადის, ის არის უცხოეთში მყოფ ქართველთა მთლიანობის და გაერთიანების გამანადგურებელი, რომელიც ყოველივე სასჯელის ღირსია.

ჩვენი უფროსები სულხანიშვილს საიდუმლოს არ გაანდობდნენ, რადგანაც იცოდნენ, საქმე იქნებოდა გაცემული, არა ღალატით... უჭკუობით.

5. სულხანიშვილი მუდამ შადიმან ბარათაშვილობდა ელიზბარის წინაალმდეგ. უნდოდა მისი ადგილის დაჭერა, ე. ი. რომ ვინმეს დაეწერა რომ ქაქუცას თანაშემწეა და ყოველგვარ პროვოკაციას ხმარობდა, რომ ეს აესრულებია.

6. ჩვენ შეფიცულნი არასდროს არ ვიფიქრებთ, ათასი წიგნიც რომ გამოვიდეს სულხანიშვილის ხელის მოწერით, რომ ცომაია და სინჯიკაშვილი იყვნენ ბოლშევიკები. ეს სულხანიშვილმაც კარგად იცის, მაგრამ ვინც მას აწერინებს იმას სჭირდება და აკეთებინებს მაგ ჭკუით ლატაკს.

7. სულხანიშვილი ფიქრობს პროვოკაციას შეფიცულებზე, რადგანაც იყო პირადათ შეურაცყოფილი სინჯიკაშვილის მიერ, ვითომ მან გალანძლა ქაქუცა და მთელი შეფიცულები ეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ სინჯიკაშვილი ამას არ იკადრებს.

8. ჩვენ შეფიცულნი აქ ორი კაცი დავრჩით საუბედუროთ და არ შეგვიძლიან ზომის მიღება, თორე ჩვენ თვითონ მივიღებდით ზომებს.

9. კიდევ ვიმეორებ, რომ ეს წიგნი სულ სიცრუეა არის, აგრეთვე აჯანყებას რომ იგონებს.

ბ-ნი გ. ჯაყელი აცხადებს, რომ ბ-ნი ალ. ამილახვარი მან მოიყვანა ამ კრებაზე და მისი აზრით ბ-ნი გაჟონიას ამნაირი გამოსვლა უცოდინარობის ბრალია. ბ-ნ ამილახვარს ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოსა და მისი ემიგრაციის წინაშე. ის ძალიან სასარგებლო დავალებებს უსრულებდა ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ მთავრობას და უდიდეს სამსახურს უწევდა თვით ემიგრანტებს პარიზში. ეს იყო სამუშაოს შოვნა, ადმინისტრაციასთან ურთიერთობა, თუ სხვა, ამიტომ ბ-ნ ამილახვარს უდიდესი მადლობა ეკუთვნის, რომ მან დღესაც პირველმა მიაქცია ყურადღება ამ ქართველების დამარღვეველ მოვლენას და მან დააყენა ეს საკითხი. რაც შეეხება კრებებზე იშვიათად ყოფნას, არც მე მინახია ბ-ნი გაჟონია კრებებზე, მაგრამ ეს მას არავითარ უფლებებს არ უზღუდავსო.

ბ-ნი ალ. ჯინჭარაძე აცხადებს, რომ ძალიან ძნელია ყოფნა იმ კომიტეტში, რომლის წევრებიც გამოცხადებულია, თითქოს მუშაობენ კომუნისტების გავლენით. საჭიროა ამის წინაალმდეგ ზომები იქნეს მიღებული და საკითხი დღესვე უნდა გადაწყდესო.

ქ-ნი ქ. მიქელაძეს აზრით სულხანიშვილი ამ შეურაცყოფისათვის და ცილისწამებისათვის უნდა გადაეცეს ამერიკულ მართლმსაჯულებას, მითუმეტეს პირველი არ არის სულხანიშვილისგან ასეთი ბოროტი საქციელი და მაბეზღარობა.

ბ-ნი თ. ბაგრატიონი წინადადებას იძლევა, რომ არ გავყვეთ გრძელ სამოსამართლო ძიებას. არც საჭიროთ მიაჩნია ოფიციალური უწყებების მიმართვა, რადგან ხელისუფლება სერიოზულად არც ღებულობს ამგვარ გამოსვლებს და არც სერიოზულ ანგარიშს უწევს. ჩემის აზრით ჩვენ უნდა მივიღოთ რეზოლუცია: დავგმოთ სულხანიშვილის მოქმედება და ნდობა გამოუცხადოთ მისგან შეურაცყოფილებს. ამით ხელისუფლების უწყებებიც გაფრთხილდებიან მომავლისათვის.

ბ-ნ გ. ზალდასტანიშვილის აზრით ამ წიგნის მუხლობრივი გარჩევა სრულიად ზედმეტია. წიგნში შეურაცყოფილია თვით საზოგადოების მიერ არჩეული გამგეობა. ან სულხანიშვილი არის მართალი და არ შეიძლება ეჭვმიტანილი გამგეობა გვყავდეს და ის უნდა გადავაყენოთ, ან სულხანიშვილი არის ცილისმწამებელი და არ შეიძლება ის სათვისტომოს წევრი იყოს. ჩემი აზრით დღევანდელმა კრებამ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხიო.

ქ-ნ თ. მარანდის აზრით სულხანიშვილისთანა ბოროტმომქმედი საზოგადოებიდან უნდა იქმნეს გაძევებული. მე არავითარი სურვილი არა მაქვს იმ საზოგადოების წევრი ვიყო, სადაც სულხანიშვილისთანა ცილისმწამებელი და მაბეზღარები იქნებიანო.

საზოგადოების თავმჯდომარე დოქ. ო. ზალდასტანიშვილი აცხადებს: დადგენილია. რომ ა. შ. შ. ქართული სათვისტომოს არახმოსანმა წევრმა ალ. სულხანიშვილმა გამოაქვეყნაპამფლეტი, რომელიც უხვად გავრცელდა, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე სხვა ქვეყნებშიც. ბრალსა სდებს ა. შ. შ. ქართულ სათვისტომოს გამგეობის წევრებს, რომ ისენი კომუნისტების აგენტების გავლენით თანმიმდევრობით და სიამოვნებით მუშაობენ ქართული სათვისტომოს ინტერესების წინაალმდეგ.

მხედველობაშია მისაღები თქვენი თავმჯდომარის აზრი, რომ გამგეობა თავის მძიმე მოვალეობას ვერ შეასრულებს, თუ საზოგადო კრება, რომელიც წესდების მეხუთე მუხლის, მეორე განყოფილების თანახმად სათვისტომოს უმაღლესი ორგანოა,—არ გამოუცხადებს ნდობას თავის გამგეობას. ისიც თქვენი თავმჯდომარის აზრია, რომ წევრი, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული და ცდილობს საზოგადოებაში ნდობა დაუკარგოს არჩეულ გამგეობის წევრებს ყალბი ინფორმაციის გავრცელებით; თანმიმდევრობით მუშაობს ამ განზრახვის და მისწრაფებისათვის, ის თავის საქციელით უკვე თავის თავს აყენებს საზოგადოების გარეშე. ამიტომ, თუ საზოგადო კრება დღეს ნდობას გამოუცხადებს გამგეობას, ჩემ მოვალეობათ მიმაჩნია, როგორც აღმასრულებელ ორგანოს მეთაურს, დაუყონებლივ დავაყენო ა. სულხანიშვილის გარიცხვის საკითხი.

თავმჯდომარის ამ განცხადების შემდეგ გამგეობა მთლიანად გადადგა. კრების ხელმძღვანელობა დაეკისრა ბ-ნ ს. ერისთავს. ბ-მა ერისთავმა კენჭის საყრელათ დააყენა საკითხი: „უცხადებს თუ არა საერთო კრება თავის გამგობას ნდობას და გმობს თუ არა სულხანიშვილის ამ გამოსვლას.

საერთო კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ ს. ერისთავის მიერ დაყენებული რეზოლუცია, რის შემდეგაც გამგეობა და მისი თავმჯდომარე უბრუნდება მოვალეობის ასრულებას.

საზოგადოების თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა კრებას ნდობისათვის და კენჭის საყრელად აყენებს წინადადებას: „ა. სულხანიშვილი გაირიცხოს სათვისტომოდან“. კრება ერთხმად (ორის თავშეკავებით) ღებულობს სულხანიშვილის გარიცხვის რეზოლუციას.

დოქ. ო. ზალდასტანიშვილი.
ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე
ს. გაბუნია.
სათვისტომოს მდივანი

„არა მკითხე მოამბენი...“

(დასაწყისი იხ. მეხუთე გვ.)

შეიძლება „სამშობლოს ხმამ“ გვიპასუხოს, მას შემდეგ 45 წელიწადი გავიდა და ქართველმა ერმა მონობაც შეიყვარა და საბჭოთა რეჟიმიცო. იქნება ისიც დაგვიმტკიცონ, რომ მთელი საქართველო პირუთვნელ კომუნისტად იქცა, მაგრამ იმას ვერ დაგვიმტკიცებენ, რომ ყოველ ქართველს გარუსების წადილი აქვს. ჩვენ შემდეგ წერილებში შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ საქართვლოს არც ეროვნულად და არც პოლიტიკურად თავის ისტორიული ტრადიციებისათვის და გადაუხვევია და ისიც, რომ რუსული კომუნიზმი მხოლოდ ახალი ფორმაა რუსული იმპერიალიზმისა თორე არაფერ შუაში იქნებოდა „უფროსი ძმა“ რუსი და იმისი დამსახურება, არა მარტო თანამედრვე საქართველოს მიმართ, არამედ თვით ჩვენი დიადი ისტორიის წინაშეც. აქ რომ მცირეოდნათ მაინც ვცდებოდეთ მაშ რით შეიძლება აიხსნას მოსკოვის, ზემლიანსკის, ბოჩკარიოვის და რუსის ჯარის ბატონობა საქართველოში?. იქნება „სამშობლოს ხმამ“ იმის დამტკიცებაც მოინდომოს, რომ ესეც ქართველი ერის ნებასურვილია და ამაზეც ჩვენს სასიქადულო მეცნიერებს მოაწერინოს ხელი. ამ შემთხვევაში წინასწარ ,ვეკითხებით: რით, როდის და როგორ გამოამჟღავნა საქართველომ ეს თავისი ახალი ნებასურვილი? მოხდა როდისმე ქართველი ერის დაკითხვა?

42 წლის წინათ ჩვენ ომში დავმარცხდით, რუსის ჯარმა დაიპყრო საქართველო. მას შემდეგ დამპყრობელი ქართველ ერს არაფერს ეკითხება. აყვირებენ მხოლოდ თითო-ოროლა რენეგატს... როცა ერთი რენეგატი მოსწყინდება „უფროს ძმას“, ან ზედმიწევნითი სისწორით არ მიუხვდება დამპყრობელობით წადილს, იმას თავს წააგდებინებს და მის ადგილზე მეორეს დაასკუპებს, მხოლოდ ისეთს, რომელიც ბიჩკიროვებს და ზემლიანსკებს არ ეურჩება. ამ პირობებში ქართველი ერის სახელით ლაპარაკის უფლება მხოლოდ იმასა აქვს, ვინც ქართველი ერის მიერ ნებაყოფლობით აღიარებულ პოზიციას იცავს და ეს არის ქართული ემიგრაცია, მიუხედავათ იმისა აქ „ორიოდე ათეული“ დავრჩებით, თუ უფრო ნაკლები.

(გაგრძელება იქნება).

ვ. სანგულია.

საუცხოვო შეუღლება.

გასული ივნისის 22-ს დაქორწილდა ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე, ახალგაზრდა მეცნიერი დოქ. ოთარ ზალდასტანიშვილი გიორგი ბელის ასულ ელისაბედზე.

ქართულ ჩვეულებასა და ადათებს გაცნობილ საპატარძლოს ზომები მიეღო, რომ ამერიკაში ფესვგამდგარ და კონსერვატიულ ბელის ოჯახი და მათი ნათესავ-მეგობრებისთვისაც გაეცნო საქართველო. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქართულ ამერიკული დროშების გამოფენა, როგორც ეკლესიაზე, ისე სტუმრებისათვის დაკავებულ სასტუმროზე. ჯვრის წერის წინა დღეს საპატარძლოს დებმა და სიძეებმა გადაუხადეს დიდი ნადიმი. აქ მოხდა პირველი შეხვედრა მცირერიცხოვან ქართველი ნაციონალისტების ამერიკელ კონსერვატორებთან. სჩანს საპატარძლოს საამისო ზომებიც მიუღია, რომ ქართული ტრადიციის თანახმად გაშლილ სუფრაზე თამადობა და სიტყვები წარმოითქვა. აქ გამოჩნდა ორი სხვაგასხვა წარმოშობის მისწრაფებები და ცხოვრების გაგების ფილოსოფია. სუფრას ხელმძღვანელობდა სასიძოს ძმა გივი, რომელმაც ორას კაციანი სუფრა მოხერხებულად დიდი ზემით ჩაატარა. სასიძომ მეუღლეობის თავისებური გაგება-განმარტებით მიიზიდა დამსწრეთა ყურადღება. სიტყვები წარმოსთქვეს, თითქმის ყველა დამსწრე ქართველებმა, ყველამ თავისებური ნიჭით და სიტყვის გამოთქმის უნარით აღაფრთოვანა დამსწრენი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული ადგილი დოქ. გ. გაბლიანს დარჩა. მან დალია სასიძოს მამის სადღეგრძელო, ამაში ჩააქსოვა მთელი ჩვენი ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეა და მიზანი. ხანგრძლივად შეჩერდა რუსული იმპერიალიზმის ბუნებაზე და მოხდენილად დაუკავშირა მეფის რუსეთის და წითელის—მისწრაფებები და ნათელჰყო მათი იგივეობა. ეს იყო სუფთა პოლიტიკური გამოსვლა, სადაც ამერიკის მაღალი საზოგადოება ახლად ეცნობოდა საქართველოს და ქართველებს.

„ქართული აზრის“ რედაქცია მხურვალეთ ულოცავს ზალდასტანიშვილების მთელ ოჯახს და კერძოთ ოთარს ამ ბედნიერებას და ელისაბედს კი, თანახმად ქართული წესისა მოვახსენებთ: კეთილი იყოს შენი ქართულ ოჯახში შემოსვლა.

„ქართული აზრი“-ს რედაქციას.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ შესაძლებლობა მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა ჩემს მეგობრებს და კეთილისმსურველებს, ~~როგორც ამ ქვებს და კეთილისმსურველებს,~~ რომლებმაც გაიზიარა ჩემი უნცროსი შვილის, ოთარის ბედნიერება და მხურვალე მოლოცვის ბარათები და დეპეშები გამომიგზავნეს.

პატივისცემით, მ. ზალდასტანიშვილი.

„ამერიკულ-უკრაინული პრესა“ ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.
114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli

561 W. 141 St., N. Y. C.

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.